გაზეთი ბეჭდავს, „ეროვნული“ ეხმიანება

ეროვნული

ფასი 50 თეთრი

№12 (907) 14 - 16 თებერვალი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

გენმოდიფიცირებული საკვების შემსწავლელი პირველი ლაბორატორია გაიხსნა

ქართულ ბაზარზე არსებული რომელ პროდუქტს გამოიკვლევს Quality Lab

100 ათასი ლარი ჯილდო

მას, ვინც „საბაში“ ხანძრის რეალურ შემკვეთსა და შემსრულებელს დაასახელებს!

გვ. 6

ბიზნესმენ პაატა კაქარავას სენსაციური ინიციატივა

კალაძის მასტერკლასი და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა ელექტროსადენებით

გვ. 5

„სკოლაში ბავშვი ასაკის კი არა, ინდივიდუალური შესაძლებლობების მიხედვით უნდა შევიდეს“

გვ. 8

როგორ აფასებს ფსიქოლოგი მთავრობის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვით, 5 წლის ბავშვებს სკოლაში აღარ მიიღებენ

რომან გოცირიძე 6-წლიან დუმილს არღვევს

საკაშვილის ყოფილი მრჩეველი ნაციონალების შეცდომებს ამხელს და ეროვნული ბანკის „სახიფათო გამოხტომებს“ შიფრავს

გვ. 3

ვის ინტერესებს ემსახურებიან ქართველი გარემოსდამცველები?!

„საქართველოს ბანკის“ დაფინანსებით, სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის უნიკალური ცენტრი Health Palace გაიხსნა

უჩა ნანუაშვილი ციხეებში ფართომასშტაბიან მონიტორინგს იწყებს

სახალხო დამცველი პენიტენციალურ სისტემაში არაგეგმურ ფართომასშტაბიან მონიტორინგს იწყებს. **უჩა ნანუაშვილის** განცხადებით: **„ამ ეტაპზე, გეგუთის ციხეში ვითარება კონტროლირებადია, თუმცა პრობლემები ისევ არსებობს. სწორედ ამ მიზნით, სახალხო დამცველის აპარატი ფართომასშტაბიან არაგეგმურ მონიტორინგს იწყებს. მსჯავრდებულების პროტესტის ფონზე გამოკვეთილი თითოეული პრობლემის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს, რათა კომპეტენტურმა უწყებებმა შესაბამისი რეაგირება მოახდინონ. გარდა ამისა, იმ 24 პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობასაც დავაკვირდებით, რომლებიც გეგუთის ციხიდან სხვადასხვა საპატიმროში გადაიყვანეს“.**

მსჯავრდებულები, დიდი ხანია, ხელისუფლებისგან მათი საქმეების გადახედვას ითხოვენ, თუმცა ამ მიმართულებით სახელმწიფოს კონკრეტული ნაბიჯი, ჯერჯერობით, არ გადაუდგამს.

როგორც უჩა ნანუაშვილი „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნავს, მმართველმა გუნდმა მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია უახლოეს მომავალში უნდა ჩამოაყალიბოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროტესტის მუხტი უფრო გაიზრდება: **„მსჯავრდებულებმა განაჩენების გადახედვა გასული წლის დეკემბერშიც მოითხოვეს, თუმცა ჰორიზონტზეც კი არ ჩანს, რომ ხელისუფლება ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნას გეგმავს. მსგავსი დამოკიდებულება, ბუნებრივია, უფრო მძაფრ პროტესტს გამოიწვევს. ხელისუფლებას მოვუწოდებ, განაჩენების გადასახედად გარკვეული მექანიზმი შეიმუშაოს“.**

უჩა ნანუაშვილი გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პროცესი გარედან მართული იყო, გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ მსგავსი მტკიცებულებები არ არსებობს. სახალხო დამცველის განცხადებით, არ დასტურდება ინფორმაცია მსჯავრდებულების დასამშვიდებლად ციხეში კონიაკების შეგზავნის შესახებაც: **„რთულია, მტკიცებულებების გარეშე ვისაუბრო, რომ პატიმრებს ვინმე აქეზებდა და პროცესი გარედან მართული იყო, თუმცა ფაქტების გაზვიადების მცდელობა ნამდვილად დაფიქსირდა. მეც შევესწარი, როცა ერთ-ერთი პატიმარი ციხეში არსებული ვითარების აჟიტირებას ცდილობდა. მოვუწოდებ, ყველა მხარემ გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებისგან თავი შეიკავოს, მით უმეტეს, მსგავსი დაძაბულობის ფონზე“.**

სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შექმნასთან დაკავშირებით, მთავრობის ინიციატივასაც მიესალმა, თუმცა მისი განცხადებით, პროცესში საზოგადოებაც უნდა ჩართულიყო: **„პროცესის მიმდინარეობისას ადგილი ჰქონდა რამდენიმე შეხვედრას სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლებთან, რაც უდავოდ მისასალმებელია, თუმცა პროცესში როგორც სახალხო დამცველი, ისე მოქმედი ცენტრალური თუ რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციებიც უნდა ჩაერთონ“.**

რუსუდან შელია

პრემიერი სსიპ-ისა და სახელმწიფო შპს-ს თანამშრომელთა მაღალი ხელფასებით დაინტერესდა

სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი დაინტერესდა, რატომ აქვს საჯარო სამართლის იურიდიული პირისა და სახელმწიფო შპს-ს თანამშრომელთა დიდ ნაწილს ირეალურად მაღალი ხელფასი.

ამ კითხვაზე პასუხი ირაკლი ღარიბაშვილმა ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრებისგან მოითხოვა. პრემიერი გამოვიდა ინიციატივით, დროულად მოხდეს ხელფასის საკითხისადმი რაციონალური მიდგომა და სწრაფად აღმოიფხვრას წლების განმავლობაში არსებული მანკიერი დამოკიდებულება.

საბჭოს სხდომაზე ასევე განიხილეს ადგილობრივი წარმოების განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. „აწარმოე ქართული“ – ეს არის პრემიერ-მინისტრის ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივი წარმოების, მცირე და საშუალო ბიზნესის ინოვაციური განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობას.

პროექტზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო რამდენიმე თვის განმავლობაში მუშაობდა. ადგილობრივი წარმოების განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა საზოგადოებისთვის საჯარო უახლოეს პერიოდში გახდება.

„ინტერპრესნიუსი“

ვერსიანიუსი

მერია თბილისის ბიუჯეტის ახალ პროექტს ხალხთან ერთად შეადგენს

საკრებულოს სხდომაზე 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის მიღებას მხარი დაუჭირა 17-მა დეპუტატმა, წინააღმდეგ წავიდა 22 დეპუტატი. საკითხის მიღებისთვის ქვორუმი შეადგენდა 24-ს. სულ კენჭისყრაში საკრებულოს 39 დეპუტატი მონაწილეობდა. საკრებულოს თავმჯდომარის, ირაკლი შიხიაშვილის განცხადებით, თბილისის 2014 წლის წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი აბსურდია და მისი მიღება გაუმართლებელია. ეს არის უტოპიური ბიუჯეტი, რისი შესრულებაც მოუწევს დედაქალაქის ახალ მთავრობას, რომელიც მაისის შემდეგ უნდა მოვიდეს არჩევნებით ხელისუფლებაში: **„ეს იქნება თბილისის ახალი მთავრობისთვის დიდი ტვირთი. იგი ვერ შეასრულებს ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრულ ამოცანებს და მოსახლეობას დიდი პრობლემები შეექმნება“.**

ბიუჯეტი განსახილველად სხდომაზე გაიტანა თბილისის მერის მოადგილე პაპუნა პეტრიაშვილმა. მისი თქმით, საკრებულოს მიერ შეთავაზებული 55 თემა აღნიშნულ პროექტში გათვალისწინებულია. დაფინანსების წყაროს შესახებ კი აღნიშნა, რომ პრივატიზაციის მეშვეობით თანხების მობილიზება შესაძლებელია და ეს 850 მილიონიანი ბიუჯეტი ბლეფი არ არის.

საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, დაახლოებით, 2 საათს გაგრძელდა. მასზე 7 საკითხი იყო გატანილი. ბოლო საკითხად განიხილებოდა დედაქალაქის ბიუჯეტი. საკრებულომ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი უკვე მეორედ ჩააგდო. კანონის თანახმად, დედაქალაქის ახალი, 2014 წლის ბიუჯეტის განხილვა 11 მარტამდე უნდა მოხდეს.

ბიუჯეტის პროექტის მეორედ ჩავარდნის შემდეგ, თბილისის მერიაში მიიღეს გადაწყვეტილება — თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებლის სევდია უგრეხელიძის განმარტებით, ბიუჯეტის ახალ პროექტს მერია მოსახლეობასთან ერთად შეადგენს. მისი თქმით, თბილისელებმა ნახეს, რომ **„გაბრაზებული ბრძანდებოდა „ქართული ოცნების“ უმრავლესობა, თუ რატომ შევძელით ჩვენ ბიუჯეტში ყველაფრის გათვალისწინება. დიახ, ჩვენ შევძელით იმიტომ, რომ გვყავს პროფესიონალები. ამის შედეგად ცხადი გახდა, რომ ისინი ბიუჯეტთან მიმართებაში არავითარ სხვა გონივრულ მოქმედებას არ აპირებენ, მის დამტკიცებას არ აპირებენ. სწორედ ამიტომ, მერია გადადის მუშაობის სხვა რეჟიმზე. მათთან კონსულტაციებს აზრი აღარ აქვს. ცხადია, თვით საკრებულოს თავმჯდომარე პაიკია ცენტრალური ხელისუფლების ხელში. გადავწყვიტეთ, მოვეთათბიროთ ხალხს და შევადგინოთ უკეთესი ბიუჯეტი. არ ვართ დარწმუნებულნი, რომ მიიღებენ, მაგრამ ვაჩვენებთ, როგორი უნდა იყოს ხალხთან შეთანხმებული ბიუჯეტი“.**

ბიუჯეტის ახალი პროექტის შესადგენად, მერიის წარმომადგენლებმა, მოსახლეობასთან შეხვედრები უკვე დაიწყეს.

„ვერსიანიუსი“

ქუთაისის საკრებულომ მერი გადააყენა

12 თებერვალს, ქუთაისის საკრებულომ, ქალაქის მერ შოთა მურღულიას უფლებამოსილება შეუჩერა. ამის მიზეზად, თამაზ მარგველაშვილმა მურღულიას მხრიდან საკრებულოსთან თანამშრომლობის არქონა და ქალაქის ერთპიროვნული მმართველობის სურვილი დაასახელა. საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ მარგველაშვილმა, ერთმანეთის მიყოლებით, 2 ბრძანებას მოაწერა ხელი — მურღულიას უფლებამოსილების შეჩერებისა და მერის მოვალეობის შემსრულებლად, ვიცე-მერ ნიკო კაჭკაჭიშვილს დანიშვნის შესახებ.

შოთა მურღულიამ მერის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან გადაყენებას უკანონოდ მიიჩნევს: „ჩემი გადაყენება უკანონობაა, მაგრამ ამას საკრებულოს წევრები არ დაუშვებენ. საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უახლოეს მომავალში შეიცვლება“.

ქუთაისის საკრებულოს წინ, მურღულიას მხარდამჭერთა აქციაც გაიმართა. აქციაზე მისული დაახლოებით 500 კაცი, საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებას აპროტესტებდა. **„ეს იყო სირცხვილი და ქუთაისისთვის კიდევ ერთი შავი ლაქა. ძლივს 3 თვე ამ ქალაქში მერმა გაძლო და ისიც საკრებულოს თავმჯდომარემ გადააყენა. მოვითხოვთ, ბათილად სცნოს ეს გადაწყვეტილება და აღადგინოს“,** — განაცხადა აქციის მონაწილე მანანა ნანიტაშვილმა. მოგვიანებით, აქციას შოთა მურღულიაც შეუერთდა, რის შემდეგაც, აქციის მონაწილეები უფრო რადიკალურები გახდნენ და საკრებულოს თავმჯდომარის გადადგომა მოითხოვეს.

ნიკო კაჭკაჭიშვილმა კი, ქალაქისთავის მოვალეობის შესრულებაზე უარი განაცხადა, რადგან არ სურს პოლიტიკურ გარიგებებში მიიღოს მონაწილეობა და ემიჯნება პროცესებს.

„ვერსიანიუსი“

ცოცხალ დონორთა წრე ფართოვდება

დონორთა წრე რეციპიენტის (ადამიანი, რომელსაც მკურნალობის მიზნით სხვა ადამიანის ორგანო გადაენერგა) მეუღლის ნათესავების ხარჯზე ფართოვდება. „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძემ მოამზადა და განსახილველად პარლამენტს უკვე წარუდგინა.

მოქმედი კანონის მიხედვით, ცოცხალ დონორთა წრე მოიცავს რეციპიენტის გენეტიკურ ნათესავებს, ასევე მეუღლეს, თუკი ქორწინებიდან გასულია სულ მცირე ერთი წელი და მეუღლის ნათესავებს (მეუღლის შვილი, დედა, მამა, შვილიშვილი, ბებია, პაპა, და, ძმა), როცა ქორწინებიდან გასულია არა ნაკლებ ორი წელი.

„რეციპიენტის ცოცხალ დონორთა წრის შიგნით ორგანოს გადანერგვა შეუძლებელია. მაგალითად, თუ ცოლის ძმა შეიძლება იყოს სიძის დონორი, ასევე იმავე ცოლის ძმას უნდა ჰქონდეს უფლება გადანერგვის მიზნით, ორგანო მისი სიძისგან — დის ქმრისგან მიიღოს, რაც მოქმედი კანონის გათვალისწინებით, შეუძლებელია“, — განმარტავს კანონპროექტის ავტორი.

დიმიტრი ხუნდაძის მიერ შემუშავებული პროექტი სწორედ რეციპიენტის ცოცხალ დონორთა წრის შიგნით, კერძოდ, მეუღლის ნათესავებს შორის ორგანოთა გადანერგვას ხდის შესაძლებელს. კანონპროექტის თანახმად, ეს ნათესავები არიან: რეციპიენტის მეუღლის შვილი, დედა, მამა, შვილიშვილი, ბებია, პაპა, და, ძმა, შვილის მეუღლე, შვილიშვილის მეუღლე, დის მეუღლე, ძმის მეუღლე.

დეპუტატი ხუნდაძე აღნიშნავს, რომ საკანონმდებლო ცვლილება დაარეგულირებს და შესაძლებელს გახდის თირკმლის სხვადასხვა პათოლოგიით დაავადებული პირისთვის ცოცხალი დონორის მოძიებას მეუღლის ნათესავების წრიდან.

„ინტერპრესნიუსი“

რომან გოცირიძე 6-წლიან დუმილს არღვევს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საკაშვილის ყოფილი მრჩეველი ნაციონალების შეცდომებს ამხელს და ეროვნული ბანკის „სახიფათო გამოხტომებს“ შიფრავს

საქართველოს ექსპრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი ეკონომიკის საკითხებში, რომან გოცირიძე რამდენიმეწლიან დუმილს „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში არღვევს. თუმცა ამ ინტერვიუს, მისი სამოქალაქო სექტორში დაბრუნება უძღვოდა წინ — 13 თებერვალს, გოცირიძემ, მედიას ეკონომიკური მიმართულების ორგანიზაცია „ეკონომიკური განვითარების ცენტრის“ დაფუძნების მიზანი გააცნო. ორგანიზაცია საექსპერტო-საკონსულტაციო ცენტრი იქნება, სადაც ჩვენ რეალობაში არსებული მწვავე და აქტუალური ეკონომიკური საკითხები მოიყრის თავს. ფაქტობრივად, რომან გოცირიძე ეკონომიკის ექსპერტთა სამყაროში ბრუნდება. იქ, საიდანაც დაახლოებით 20 წლის წინ, მოღვაწეობა დაიწყო. შემდეგ, წლების განმავლობაში ბატონი რომანი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე, რამდენიმე მოწვევის დეპუტატი, (პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისა და საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი, დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე), ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და ბოლოს მიხეილ სააკაშვილის მრჩეველი გახლდათ. ახლა კი დიდი პოლიტიკიდან, ექსპერტთა წრეში დაბრუნდა, არადა, ბოლო დროს, როგორც წესი, ექსპერტები პირიქით — დიდ პოლიტიკაში მიდიან.

— ბატონო რომან, ამბობენ, ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ არ შედიანო და საიდანაც დაიწყეთ, იქ რატომ დაბრუნდით?

— ხანდახან ასეც ხდება ხოლმე და თუნდაც ამიტომაცაა საინტერესო ცხოვრება, რომ ამ სფეროში გაცილებით დიდი გამოცდილებით ვბრუნდები. ოციოდე წლის წინ, როდესაც ეკონომიკურ რეფორმებზე ვიწყებდით საუბარს, როდესაც საბაზრო ეკონომიკის ხსენებაც კი მწარედ აღიქმებოდა საზოგადოებისა და მაშინდელი ხელისუფლების თვალში და როდესაც გაუკვალავ გზას ვადექით, ასეთი გამოცდილება არ მქონია. როცა წარსულს ვიხსენებ, ვაცნობიერებ, რომ შეცდომებიც იყო და ენთუზიაზმიც, მაგრამ მიმაჩნია, რომ მე, როგორც სპეციალისტი, უნივერსიტეტიდან და საექსპერტო წრიდან ჩამოვყალიბდი. ამდენად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ახლანდელი დაბრუნება უფრო მძიმეწონიანი იქნება.

— ეკონომიკის ექსპერტების დიდი ნაწილი ხელისუფლებაშია, გარკვეულწილად, ესეც ხომ არ არის მიზეზი, რომ ამ სფეროს დაუბრუნდით?

— როგორც წესი, საექსპერტო და არასამთავრობო სექტორის გამორჩეული ადამიანები ხელისუფლებაში, პოლიტიკაში მიდიან. საკმაოდ დიდი სივრცე უჭირავთ, როგორც პარლამენტში, ასევე აღმასრულებელ ხელისუფლებაში. ამას ერთი დიდი მინუსი აქვს — მათი შეფასებები ტენდენციურია. ყოფილი ექსპერტები, სხვადასხვა პოლიტიკურ ბანაკში მკვიდრდებიან და ჭეშმარიტების ნაცვლად, საკუთარი გუნდის ინტერესებს ემსახურებიან. საექსპერტო სივრცეში დარჩენილებიც გადაჯგუფდებიან ხოლმე სახელისუფლებო და ოპოზიციურ ბანაკებში და როლებიც იცვლება. ჩემ შემთხვევაში კი უცნაური ისაა, რომ პირიქით — ხელისუფლების მრავალშტოგავლილი სეგმენტიდან, საექსპერტო წრეში დავბრუნდი, თანაც ყოველგვარი პარტიული და სხვა სახის მიკერძოების გარეშე.

— ბოლო 6 წლის განმავლობაში, როდესაც მიხეილ სააკაშვილის მრჩეველი იყავით, რატომ დუმდით?

— იმიტომ, რომ შეუძლებელია, ხელისუფლებაში იყო და, იმავდროულად, ობიექტურობაც შეინარჩუნო. ნახევარი სიმართლის თქმას, მერჩივნა, არაფერი მეთქვა. ასე დავმუნჯდი!

— ეროვნული ბანკის პრეზიდენტობიდან გადადგომისას განაცხადეთ: „რა თქმა უნდა, პოლიტიკა ძალიან რთულია და საკუთარი ნებით, აქედან სხვა თანამდებობაზე გადასვლა, გარემოებებისადმი ანგარიშის გაწევას ნიშნავს. ცნობილი ნათქვამია, როდესაც სათქმელი ძალიან ბევრი გაქვს, სჯობს, არაფერი თქვა“. „არაფრის თქმა“ ძალიან ხომ არ გაგიგრძელდათ?

— გეთანხმებით! ყოველთვის ვცდილობდი, ობიექტური ვყოფილიყავი, მაგრამ პოლიტიკური ტვირთი მაინც დაღს ასვამს ამა თუ იმ პოზიციას. პოლიტიკური კონიუნქტურა და გარკვეული თვითცენზურა ყოველთვის მუშაობს, როდესაც აბსოლუტურად თავისუფალი არ ხარ. შეუძლებელია, საკუთარი აზრების გამოხატვაში, ჩინოვნიკი თავისუფალი იყოს. თანაც აქტიური პოზიციით, ძალაუნებურად, მომეწერებოდა ბევრი ისეთი რამ, რასაც არ ვიზიარებდი, მაგრამ არც ზემოქმედება შემეძლო. ჩემი დუმილის გამო, ახლა მორალურად კმაყოფილი ვარ, დღეს სრულიად თავისუფალი გახლავართ და ამ ორგანიზაციის თავმჯდომარის სტატუსით, შემიძლია, ვურჩიო ან გავაკრიტიკო ხელისუფლება, ოპოზიცია, მედია... ეკონომიკურ სივრცეში კი ახალი, ობიექტურობაზე პრეტენზიის მქონე ორგანიზაციის სახელით ვბრუნდები.

— ზოგადად, ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობის ყოფნის დროს, მთავარ ეკონომიკურ დამსახურებად და შეცდომად რა მიგაჩნიათ?

— „ვარდების რევოლუციის“ მთავარი დამსახურება ქვეყნის იმ ჭაობიდან ამოყვანა იყო, რომელსაც განვითარების არავითარი შანსი არ ჰქონდა. წმინდა ეკონომიკურ ენაზე რომ გითხრათ, ქვეყანას ფასი დაედო, რაც ნიშნავს, რომ ქვეყნისა და მისი სიმდიდრის კაპიტალიზაცია მოხდა. პირობითად, ის, რაც 1 ლარი ღირდა, 1 000 000 ლარის ღირებულების გახდა. სხვაგვარად, წარმოუდგენელია, იმ მასშტაბის ინვესტიცია დაძრულიყო. რაც შეეხება შეცდომას, ბევრი იყო, როგორც მაკრო, ასევე ქვედა დონეზე. მაგალითად, არც მე მომწონს, რომ ქუთაისის პარლამენტის შენობაში ამ რაოდენობის ფული გადაიყარა და საპარლამენტო მუშაობა დეზორგანიზებულია. თუმცა მეორე საკითხია, საიდან გაჩნდა უზარმაზარი ფული, რომ იმ პერიოდში, თუნდაც ასეთი გიგანტები აშენდა. ზოგიერთი, ჩვენი მსგავსი ქვეყანა, ისეთ კაპიტალდაბანდებას, როგორიც ბათუმში გაკეთდა, 20 წლის განმავლობაშიც ვერ განახორციელებდა. გაჩნდა ფული, მნიშვნელობა არ აქვს, არაბული იყო, რუსული, თურქული თუ ამერიკული, მოხდა სიმდიდრის კაპიტალიზაცია. თუ ადრე ინვესტორებს ვეხვეწებოდით, გარკვეული ობიექტები რამდენიმე ათასად მაინც ეყიდათ, ისინი ათეულ და ასეულ მილიონებად გაიყიდა. წლების წინ, არავის უნდოდა „ზესტაფონის ფეროს“, „ჭიათურმანგანუმის“, რუსთავის „აზოტის“, ჰესების, ნავსადგურების შეძენა; ჯართად იყიდებოდა მეტალურგიული ქარხანა, რადგან ჩვენ მიერ, თუნდაც ნაჩუქარ სიმდიდრეს ინვესტიციების განხორციელება სჭირდებოდა, რომლის უკან დაბრუნების შანსი ნულის ტოლი იყო. გიმეორებთ, ქვეყნის ქონებას ფასი დაედო, ეს კი ურთულესი პროცესია. რაც შეეხება მთავარ ეკონომიკურ შეცდომას — კომუნისტებისდროინდელ სიტყვებს გამოვიყენებ, ეს იყო სუბიექტივიზმი და ვოლუნტარიზმი. ეკონომიკურ პროცესებში ზედმეტ ადმინისტრაციულ ჩარევას ვგულისხმობ, სადაც გადაწყვეტილებების მიმღებ ცენტრში იგეგმებოდა, რა არის კარგი და რა ცუდი. როდესაც გმირთა მოედანზე დგამ შადრევანს, მერე აღარ მოგწონს და სხვაგან გადაგაქვს, ან პეროვის ქუჩაზე აგებ ფილებს და ვერ ხვდები, რომ სარდაფები დაიტბორება, ან ააშენებ ხიდს და რამდენიმე თვეში ანგრევ, ეს წვრილმანი მაგალითები და მცირე თანხის უმიზნოდ ფლანგვაც კი, სისტემის არსს კარგად ავლენს.

აგერ, ათამდე ევროპულმა სახელმწიფომ უარი თქვა „ევროვიზიაში“ მონაწილეობაზე, რადგან ბიუჯეტში ვერ გამოძებნეს თანხა, სულ რაღაც 300 000 ევრო. ეს სამიოდე ისეთი მანქანის ფასია, ჩვენმა თანამდებობის პირებმა ახლახან რომ შეიძინეს. საბიუჯეტო პროცესში ვლინდება ქვეყნის მმართველობის დემოკრატიულობა. უდიდესი შეცდომა იქნებოდა ქალაქ ლაზიკას აშენების დაწყება, რაც საბოლოოდ, საქართველოს ეკონომიკას შეიწირავდა. იგი შესაძლოა, გარკვეული სატყუარაც იყო ადამიანების გულების მოსაგებად. ნავსადგურის აშენების მთავარი იდეა განხორციელებადია, თუმცა გააჩნია, როდის და რატომ!

> **უცბად გაჩენილი ფულის ყადრის დაუფასებლობა იყო ერთ-ერთი მთავარი შეცდომა. ლიბერალური კურსის მქადაგებელი მთავრობა, ხანდახან ისეთ საოცარ რამეს ჩაიდენდა, ვერც კი წარმოიდგენდით. მაგალითად გამოდგება წინასაარჩევნო პერიოდში არსებული დასაქმების პროგრამები, როდესაც 200 000 000 ლარი აჩუქეს საწარმოებს, სადაც მოქალაქეები ფორმალურად გააფორმეს, რათა ეს ფული მიეღოთ. ფაქტობრივად, ეს იყო არჩევნების წინ ფულის დარიგების მახინჯი მეთოდი. ყველაზე მძიმე შეცდომა კი ადამიანის უფლებების სფეროში არსებული პრობლემები იყო, რომელიც ჩვენი საუბრის თემა არ არის.**

— 2013 წლის დეკემბერში, ეროვნული ვალუტის გაუფასურება დაიწყო. ამ პროცესს, როგორც ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი, როგორ აფასებთ, მით უმეტეს, იმ ფონზე, რომ ლარის გამყარების ტენდენციაც უკვე სახეზეა?

— ალბათ, საზოგადოება დაბნეულია და დღემდე ამოუხსნელი გვგონია, არც ისე რთულად ასახსნელი პრობლემა. ეროვნული ვალუტის კურსის დაცემას ორი მიზეზი აქვს, ან ლარის მასა გაიზარდა, ან დოლარის მასა შემცირდა. ბოლო ერთ წელში, დოლარის მიწოდება არ შემცირებულა, ანუ დოლარს ნურაფერს დავაბრალებთ, რადგან ხშირად ამბობენ, ლარის გაუფასურება ინვესტიციების ნაკლებობის ბრალია. ზოგი ამას სეზონურობას აბრალებს, ზოგი — ქვეყნიდან უცხოური ვალუტის გადინებას, რაც არასწორი შეფასებაა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ინვესტიციების რაოდენობა შემცირდა, უცხოური ვალუტის შემოდინება არ შემცირებულა, ვინაიდან ინვესტიციების კლების კომპენსირება სხვა წყაროებიდან მოხდა. ეს ძირითადი წყაროებია მოსახლეობის მიერ თანხების გადმორიცხვა, რომელიც ბევრად არ ჩამოუვარდება ექსპორტის მაჩვენებელს და ამ ტრანსფერებმა მილიარდს გადააჭარბა. ერთ-ერთი წყაროა ექსპორტის ზრდა, რაც ნიშნავს, რომ უცხოური ვალუტა შემოვიდა. იმპორტიც შემცირდა. გარდა ამისა, ვალუტა შემოდის ტურისტებიდან, მათი ნაკლებობა კი, არ ყოფილა. ასევე — სხვა სახის მომსახურებიდან (ნავთობსადენი, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი). ანუ, საგადამხდელო ბალანსი გაუმჯობესდა, როგორც სავაჭრო ბალანსის დეფიციტის შემცირების, ასევე — მიმდინარე ანგარიშების ბალანსის გაჯანსაღების შედეგად. ამაში როლი უცხოურმა ინვესტიციებმაც შეასრულა. შეიძლება ითქვას, მონეტარული თვალსაზრისით, ინვესტიციების პოზიციას განსაკუთრებული ნეგატიური გავლენა არ მოუხდენია.

> **უცხოური ვალუტის შემოდინების მოცულობა 11 თვის განმავლობაში, იმდენად ჭარბი იყო, რომ ეროვნული ბანკი დოლარს იძენდა რეზერვების შესავსებად და ლარის კურსის დასასუსტებლად! ამ ხნის მანძილზე, ეროვნულმა ბანკმა 400 000 000 აშშ დოლარით მეტი იყიდა, ვიდრე გაყიდა, რათა ლარი არ გამყარებულიყო! 11 თვე, ეროვნული ბანკი შეგნებულად ასუსტებდა ლარს, უფრო ზუსტად, ხელს უშლიდა ლარის გარკვეულ ნიშნულზე ზემოთ გამყარებას!**

— ამას რა მიზეზით აკეთებდა ეროვნული ბანკი?

— ორი მიზეზის გამო: ეროვნულ ბანკს მიაჩნდა, რომ ლარის ზედმეტი გამყარება საჭირო არ იყო, რადგან ეს პროცესი ექსპორტს შეუშლიდა ხელს. სხვა საკითხია, ეს ასე უნდა ყოფილიყო თუ არა, მაგრამ რომ არა ეროვნული ბანკის მიერ უცხოური ვალუტის შესყიდვა, ლარის კურსი 1.63 კი არა, 1.5-ის ფარგლებში იქნებოდა. მეორე მიზეზი ის არის, რომ ეროვნულ ბანკს უცხოური ვალუტის რეზერვების ზრდა და იმ დონემდე შენარჩუნება სჭირდება, რომ ქვეყნის ეკონომიკას საგარეო ეკონომიკური საფრთხე არ დაემუქროს. გარდა ამისა, ეროვნულ ბანკსა და საქართველოს მთავრობას გასასტუმრებელი აქვს მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა დონორების კრედიტები და უცხოური ვალუტის რეზერვები, სწორედ ამისთვის სჭირდება. მთავრობას საგარეო ხარჯიც აქვს, რისთვისაც ასევე უცხოურ ვალუტას იყენებს, მაგალითად, საელჩოების დასაფინანსებლად, სამხედრო თუ სხვა სახის შესყიდვებისთვის.

> **მოკლედ, ეროვნული ბანკი ორ კურდღელს იჭერდა — ვალუტის რეზერვებსაც ქმნიდა და ლარის კურსიც ეჭირა. თუმცა ამას მეორე, დიდი მინუსიც აქვს, როდესაც 400 000 000 აშშ დოლარს ყიდულობ, მისი ეკვივალენტი ლარში, ანუ დაახლოებით, 700 000 000 ლარი გამოგაქვს მიმოქცევაში, ზრდი ფულის მასას და ინფლაციურ საფრთხეს ქმნი. იმის გამო, რომ ქვეყანაში ინფლაციური ფონი დაბალი იყო, ეროვნულმა ბანკმა თავს უფლება მისცა, ასე მოქცეულიყო, მაგრამ რა მოხდა დეკემბერში? ლარის მყისიერი დევალვაციის მიზეზი, სახელმწიფო ბიუჯეტის 600 000 000 ლარით გარღვევა იყო. ფაქტობრივად, დეკემბერში ბიუჯეტმა ერთბაშად, თითქმის 1 მილიარდი ლარის ხარჯი გასწია და ლარის რყევა უკვე ფისკალურმა, ანუ საბიუჯეტო ფაქტორმა გამოიწვია.**

დასასრული მე-4 გვერდზე

„ჯონდი ბაღათურიას, ნინო ბურჯანაძესა და კახა კუკავას მხოლოდ ფინანსური ინტერესები ამოძრავებთ“

რატომ არ დაუჭერს მხარს სერგო ჯავახიძე თვითმმართველობის არჩევნებში ოპოზიციის საერთო კანდიდატს

ირუსუდან შელია
557-100-768

რომელ პოლიტიკურ ძალებთან გეგმავს თვითმმართველობის არჩევნებში გაერთიანებას, რატომ არ დაუჭერს მხარს ოპოზიციის ერთიან კანდიდატს, არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებისგან ვინ ითხოვს ფულს ხელისუფლებისგან და მოქმედებს თუ არა ინტერფრაქციულ ჯგუფში მმართველ გუნდთან შეთანხმებულად? „ვერსიას“ პარტია „სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერი სერგო ჯავახიძე ესაუბრა.

— თვითმმართველობის არჩევნებისთვის „ტრადიციონალისტებთან“ გავერთიანდით, თუმცა კონსულტაციებს კიდევ ორ პარტიასთან ვაწარმოებთ, რომლებსაც მოგვიანებით დავასახელებ. ეს გაერთიანება მოგვცემს შესაძლებლობას, „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის ფონზე, ერთ-ერთ ძლიერ და კონკურენტულ ალიანსად ჩამოვყალიბდეთ.

— არასაპარლამენტო ოპოზიციას გადარჩენის ერთადერთ საშუალებად ოპოზიციური კოალიციის ჩამოყალიბება მიაჩნია. მოსალოდნელია, ოპოზიციამ საერთო კანდიდატებს დაუჭიროს მხარი?

— პირადად მე, თბილისში ოპოზიციის ერთიან კანდიდატს მხარს არ დავუჭერ. არ ვფიქრობ, რომ მმართველი გუნდის კანდიდატს ხმები მაქსიმალურად უნდა წავართვათ. ნაციონალური მოძრაობის პირობებში, მსგავსი შეთანხმება გამართლებული იქნებოდა, თუმცა ერთიანობას ვერც მაშინ მივაღწიეთ, ახლა კი, ქვეყანაში პოლიტიკური მოცემულობა შეცვლილია. შესაბამისად, დამოუკიდებელი კანდიდატი გვეყოლება.

— და თქვენთვის პოლიტიკურად მომგებიანია არასაპარლამენტო პარტიების მიერ შექმნილი ორი დამოუკიდებელი კოალიცია?

— რატომ არა?! ბოლო პერიოდში, ინტერფრაქციულ ჯგუფში საარჩევნო კოდექსზე მომუშავე პარტიებმა ჩვენ ინიციატივებს მხარი არ დაუჭირეს. კერძოდ, ვითხოვდით, საინიციატივო ჯგუფებს დამოუკიდებელი კანდიდატის დასახელების უფლება არ ჰქონოდათ და არჩევნებში მხოლოდ პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებს მიეღოთ მონაწილეობა. არადა, ჩვენმა პარტიამ მხარი დაუჭირა ინიციატივას, რომ არაკვალიფიციური სუბიექტებისთვის ხელისუფლებას 150 ათასი ლარი ერთჯერადად გამოეყო. ახლა ვხვდები, რომ შეცდომა დავუშვი. მმართველი გუნდიც იგივე დასკვნამდეა მისული, რადგან ზოგიერთმა პარტიამ მეტი დაფინანსება მოინდომა. მათ მოთხოვნას შესაბამისი მყარი არგუმენტებიც სჭირდება. როცა 2010 წელს ნაციონალურ მოძრაობასთან სასიცოცხლო ბრძოლაში შევედით, ზოგიერთები შორიდან გვაკვირდებოდნენ. უმძიმესი ზეწოლა გამოვიარეთ, პრორუსულობაში გვდებდნენ ბრალს და ჩვენ მხარდამჭერებსაც აკავებდნენ, ამიტომ ხელისუფლებას მოვუწოდებ, კანონის შესაბამისად იმოქმედოს და დაფინანსება მხოლოდ კვალიფიციურმა პარტიებმა მიიღონ!

— იქნებ სწორედ მსგავსი დაპირისპირების შედეგია, რომ ოპოზიცია ხელისუფლებას რეალურ კონკურენციას ვერ უწევს?

— ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერი ფიქრობს, რომ საქართველოს მომავალი მათზეა დამოკიდებული. არჩევნების შედეგები გვაჩვენებს, ვინ რას იმსახურებს. როდემდე უნდა ივაჭრონ ფულზე? თეთრს არ იმსახურებენ და, თუ მაინც მიიღებენ, გავაპროტესტებთ. მაშინ რა აზრი აქვს კვალიფიციურ სუბიექტობას? ერთხელ მაინც გადალახონ ბარიერი და დაფინანსებასაც მიიღებენ. მათ კანდიდატურას რომ დავუჭირო მხარი, ჩემი პოლიტიკური ინტერესი მხოლოდ ის იქნება, კონკურენტებს დამატებით საარჩევნო ხმები მოვუტანო?

— ანუ თქვენი პოლიტიკური მიზანი მხოლოდ პარტიული კეთილდღეობაა?

— არ ვაპირებ, ვიღაცის პოლიტიკურ დეკორაციად ვიქცე მხოლოდ იმის გამო, რომ მმართველ გუნდზე განაწყენებულია და მეტი ფინანსების მოზიდვა სურს. მიუხედავად იმისა, რომ დავით ნარმანიას მიმართ სიმპათიით განწყობილი არ ვარ, „ქართული ოცნების“ კანდიდატს ხმებს არ გავუყოფ! გიგი უგულავამ არჩევნებში ხმა არ უნდა მიიღოს, ნაციონალების გამარჯვებაზე საუბარი ხომ საერთოდ ზედმეტია. ნარმანიას გამარჯვების დიდი შანსი აქვს.

— გამოდის, უკვე იცით, რომ არჩევნებში დამარცხდებით?

— საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა გამარჯვებისთვის არ მიმიღია. ჩემი მიზანი პოზიციის დაფიქსირება იყო — დამოუკიდებელი ადამიანი ვარ და დამოუკიდებელ თამაშს ვთამაშობ. პარალელურად, პარტიის რეკლამაც წარმატებით გამომივიდა. მომავალშიც საკუთარ თამაშს ვითამაშებ და ზოგიერთებივით, ხელისუფლების უსაფუძვლო გინებას კი არ დავიწყებ, ვიბრძოლებ, პოლიტიკურ ველზე დავრჩე. რადიკალიზმი დღეს პოლიტიკურად წამგებიანია.

— ამ **განცხადების შემდეგ, შესაძლოა, ბევრს შეეპაროს ეჭვი, რომ ხელისუფლებასთან შეთანხმებისთვისაც მზად ხართ.**

— არასაპარლამენტო ოპოზიციის ზოგმა წარმომადგენელმაც მითხრა, ინტერფრაქციულ ჯგუფში მმართველ გუნდთან შეთანხმებულ ინიციატივებს აყენებო. დიახ, არ ვმალავ, გარკვეულწილად, ვათანხმებ საარჩევნო ინიციატივებს, რადგან მინდა, საარჩევნო კოდექსი უკეთესობისკენ შეიცვალოს. ირეალურ წინადადებებს ზოგიერთები განგებ აყენებენ, რათა შემდეგ ხელისუფლების გინების საფუძველი ჰქონდეთ. მერწმუნეთ, არჩევნებში უამრავი პარტია გამოჩნდება, რომელიც საკუთარ კანდიდატურას დაასახელებს, ამიტომ უსამართლობა იქნება, თუ არაკვალიფიციურ სუბიექტებს ჩვენთან გაათანაბრებენ, მით უმეტეს, მათი მთავარი მიზანი მხოლოდ ფინანსური კეთილდღეობაა.

— უკვე რამდენჯერმე ახსენეთ პოლიტიკური პარტიების ფინანსური ინტერესები. დაასახელეთ პოლიტიკოსები, რომლებიც მხოლოდ თანხების მისაღებად იბრძვიან.

— გისახელებთ: ინტერფაქციულ ჯგუფში ჯონდი ბაღათურიას, ნინო ბურჯანაძისა და კახა კუკავას პარტიების ბოლო ხუთი ინიციატივა მხოლოდ ფულს უკავშირდებოდა. სარეკლამო დრო, კვალიფიციური პარტიის თანაბარი პრივილეგია, წარმომადგენელი ცესკო-ში, ეს მოთხოვნები პირდაპირ ფინანსების მიღებისკენაა მიმართული, ამიტომ მათი პარტიის გაძლიერებას მხარს არასოდეს დავუჭერ.

— თქვენ შორის თანხვედრა არც 50%-იან ბარიერზეა?

— ახლა უკვე ვამბობ, რომ 40%-იანი ბარიერი მისასალმებელია. მივხვდი, ოპოზიციური პარტიები ბარიერს ვერც კი მიუახლოვდებიან და განცხადებებს მხოლოდ პოლიტიკური ქულების ჩასაწერად აკეთებენ.

რომან გოცირიძე 6-წლიან დუმილს არღვევს

მე-3 გვერდიდან

ეროვნულმა ბანკმაც, ცოტათი ხელი წააშველა კომერციულ ბანკებზე იაფი, მოკლევადიანი რეფინანსირების სესხების გაცემით. სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული, რადგან 600 000 000 ლარით გარღვეული საბიუჯეტო შემოსავლის დიდი ნაწილის, ანუ 400 000 000 ლარის კომპენსირება იმ ნაშთებიდან განახორციელეს, რომელიც ფინანსთა სამინისტროს ეროვნული ბანკის ანგარიშზე აქვს. ეროვნულ ბანკში, დაახლოებით, 1 მილიარდი ლარის ნაშთი იყო, რომელიც არ უნდა დახარჯულიყო, რადგან ეს უკვე საბიუჯეტო რეზერვია, რომელსაც საგარეო ვალის მომსახურებისთვის იყენებენ. მომენტალურად, ფულის მასა მიაწვა ბაზარს და ეროვნული ბანკი იძულებული გახდა, ერთადერთი ქმედითი ინსტრუმენტი გამოეყენებინა, ანუ მთავრობის მიერ გამოშვებული ფული, ღრუბელივით შეესრუტა. ამას სტერილიზაციას უწოდებენ. თუ 11 თვის განმავლობაში, ეროვნულმა ბანკმა, დაახლოებით, 200 000 000 დოლარი გაყიდა, მხოლოდ დეკემბერ-იანვარში, თითქმის 350 000 000 დოლარის რეალიზება მოუწია. ეს იმიტომ გახდა აუცილებელი, რომ არ მომხდარიყო ლარის მასშტაბური დევალვაცია. სტერილიზაციის ოპერაციების შედეგად, გაზრდილი ფულის მასა, მაქსიმალურად სწრაფად შეიკუმშა და ეკონომიკა უფულოდ დარჩა. ერთ თვეში, უზარმაზარი ფული, რომელიც ბაზარზე ბიუჯეტიდან გაჩნდა, ეროვნულმა ბანკმა სწრაფადვე უკან ამოიღო, მაგრამ ლარი თავქვე წავიდა და დაიწყო გამყარების უკუპროცესი. ახლა ეროვნულმა ბანკმა დაიწყო ბრძოლა ლარის გამყარების შესაჩერებლად და ამ დღეებში, უკვე 60 000 000 დოლარი შეიძინა, ანუ ლარის გამყარებას აჩერებს. რა თქმა უნდა, ორი თვის მანძილზე, ლარის ასეთი მკვეთრი რყევა სერიოზული შეცდომა იყო არა მხოლოდ ფისკალური, არამედ — მონეტარული თვალსაზრისითაც. მიზეზი არასწორი მესიჯები იყო, თითქოს ქვეყანაში დეფლაციის საფრთხე გაჩნდა, არადა, საქართველო იაპონია არ არის, რომელიც 20 წელია, დეფლაციას ებრძვის. საქართველოს ეკონომიკური სტრუქტურა ისეთია, 20 წელი, მუდამ თავის მტვრევაში უნდა ვიყოთ, რომ ინფლაცია არ მოხდეს. ეროვნულმა ბანკმა და ფინანსთა სამინისტრომ „კენსიანური“ იდეა აიტაცა, რაც სამუშაო ადგილების შექმნისა და ეკონომიკური სტიმულირების გამო, ბიუჯეტიდან ფულის გაშვებას ნიშნავს. აი, ასეთი „კენსიანური“ გამოხტომები იწვევს საფრთხეს, რადგან მიმაჩნია, რომ ჩვენ ქვეყანაში, ფასების ოდნავი ზრდის მანიპულირებაც კი სავალალოდ დამთავრდება.

— ერთ-ერთ ვერსიით, ლარის გაუფასურების მიზეზი ეროვნული ბანკის ხელმძღვანელების შეთქმულება იყო პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ...

— სულელური ვერსიაა! იმასაც ამბობენ, ფინანსთა სამინისტრო ლარს იმიტომ ასუსტებს, ბიუჯეტს ვერ ავსებს და ინფლაციით მეტი ფული შემოვაო. თეორიულად, ამ გზით ბიუჯეტის შევსება შეიძლება, მაგრამ ვერ წარმომიდგენია, ასეთი მანიპულაციების გამო, ფინანსთა სამინისტრომ გარისკოს და ზედმეტი ფულის მასა მიმოქცევაში გამოუშვას. ეს ტექნიკურად იმდენად რთულად შესასრულებელია, ამის გაკეთება მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას შეუძლია, მაგალითად, აშშ-სა და იაპონიას. ევროკავშირის ქვეყნებიც კი ვერ გარისკავენ ასე, რადგან საკუთარი, დამოუკიდებელი ეროვნული ბანკები არ აქვთ. ლარის დევალვაციის მიზეზი, ფულის მასის მყისიერი ზრდა იყო დეკემბერში, ახლა კი ლარის გამყარების მიზეზი, ეროვნული ბანკის ინტერვენციების შედეგად, ფულის მასის მყისიერი შემცირებაა. მთლიანობაში, ქვეყნის ეკონომიკის იმიჯი დაზარალდა, რომელსაც სერიოზულად გაულაწუნეს. ეს არც ნოკდაუნია და არც ნოკაუტი, მაგრამ ეს იყო მტკივნეული დარტყმა, რამაც არასტაბილურობის განცდა შექმნა. ეს შეიძლება უფრო მძიმე ფორმით განმეორდეს, თუ არ გამკაცრდება მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა, არ შემცირდება ბიუჯეტის დეფიციტი და არ გამოიძებნება შემოსავლების ფორმირების უფრო სტაბილური და ჯანსაღი გზა.

საინფორმაციო მხარდაჭერა
СВОБОДНАЯ ГРУЗИЯ

კალაძის მასტერკლასი და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა ელექტროსადენებით

გიორგი იაშვილი

2001 წელს, როცა იტალიურმა „მილანმა“ კახა კალაძე კიევის „დინამოდან“ იყიდა, აპენინური კლუბის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, ქართველი ფეხბურთელი უნივერსალია და სხვადასხვა პოზიციაზე ერთნაირი სიძლიერით შეუძლია თამაშიო. მაშინ ამის ნაკლებად დაიჯერეს, მაგრამ კახამ იტალიურ გრანდში ცხრა წელი ითამაშა და მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც შეიძლებოდა...
2012 წელს, როცა კალაძე ენერგეტიკის მინისტრად დაინიშნა, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, კახა უნივერსალია, ნებისმიერ პოზიციაზე შემიძლია მისი გაშვება და დარწმუნებული ვარ, თავს გაართმევსო. მაშინაც ითქვა, ივანიშვილს, უბრალოდ, ვალდებულება აქვს, თორემ კახა სამინისტროს ვერ უხელმძღვანელებსო. აგერ უკვე მეორე წელი იწურება და თუ ვინმეზე შეიძლება ითქვას, რომ მთავრობის წარმატებული წევრია, ერთ-ერთი პირველი სწორედ კალაძეა. ენერგეტიკის მინისტრი რამდენიმე დღის წინ ჟურნალისტებს შეხვდა და შეიძლება ითქვას, გაოცებული დატოვა. ყველა ჟურნალისტმა დასმულ კითხვაზე ამომწურავი პასუხი მიიღო, რაც ასე იშვიათია დღევანდელ რეალობაში...

ის, რომ ენერგოდამოუკიდებლობა ქვეყნის დამოუკიდებლობის ტოლფასია, ყველამ იცის, მაგრამ ამის შესახებ ღიად თითქმის არავინ საუბრობს. ამ დამოუკიდებლობის მისაღწევად, მთავრობა ძალას არ იშურებს, თუმცა ფრონტის წინა ხაზზე დგომა სწორედ ენერგეტიკის სამინისტროს უწევს და თან იმ პირობებში, როცა მინისტრმა ბეწვის ხიდზე უნდა გაიაროს. ეს როგორც შიდა, ისე ქვეყნის გარეთ მიმდინარე მოვლენებს ეხება. დღეისთვის მიმდინარე 25 მშენებლობა საქართველოს საერთო ჯამში 400 მეგავატ ენერგიას მოუტანს, რაც, შეიძლება ითქვას, დიდი ფუფუნება იქნება როგორც ენერგეტიკის, ისე ქვეყნის ეკონომიკისთვის. ამის ფონზე, მთავარ თემად თუ პროექტად მაინც ხუდონჰესის მშენებლობა რჩება.

მესტიის რაიონის სოფელ ხაიშში მიმდინარე პროცესები ენერგეტიკის სამინისტროსთვის დღეს ყველაზე აქტუალურია. ოპოზიცია მთავრობისკენ ხელს იშვერს — ხაიშელების ინტერესების გათვალისწინებას არ აპირებს და სოფლის დატბორვა სურსო, მაგრამ...

„წინა ხელისუფლებამ ხაიშელებს მიწები, უბრალოდ, წაართვა, ინვესტორს ერთ ლარად მიჰყიდა და ხმა არავის ამოუღია. ეს იმ შიშის ბრალი იყო, რომელსაც წინა ხელისუფლება თესდა. ჩვენ ინვესტორს მიწა დავაბრუნებინეთ, მოსახლეობა დაარეგისტრირებს და მერე რეალურ, საბაზრო ფასად ვიყიდით“, — განაცხადა კალაძემ.

რეალურად, ხუდონჰესის მშენებლობა სახელმწიფოსთვის იმდენად პრიორიტეტული და მნიშვნელოვანია, გვეეჭვება, უარი თქვას. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ძალიან ბევრ დათმობაზე მიდის და პროექტი იწელება, საბოლოო ჯამში, შეთანხმების დიდი ალბათობა არსებობს, მაგრამ ყოფილი ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს ვითარების დაძაბვას და მოქმედ მთავრობას ძალისმიერი მეთოდებისკენ უბიძგებს.

„ახლა ხშირად ისმის, რომ სახელმწიფომ ხუდონჰესის მშენებლობაზე უარი თქვა და პროექტი შეაჩერა. პროექტი არ შეჩერებულა, მხოლოდ აზომვითი სამუშაოები შევაჩერეთ. ჩვენთვის მთავარი კანონია და მასზე მაღლა ვერავის დავაყენებთ. ყველა პროექტს განვიხილავთ ინდივიდუალურად. მასშტაბიდან გამომდინარეა პრობლემები, მაგრამ მოგვარებადი პრობლემებია. არიან რადიკალურად განწყობილი ადამიანები, მაგრამ მეორეს მხრივ, არის სახელმწიფოს ინტერესი. 1500 ჰექტარი ისე წაართვეს, თეთრი არ მისცეს და პრეტენზიაც არავის გამოუთქვამს იმ შიშის გამო, რაც არსებობდა. არ დავუშვებთ, რომ რამდენიმე ადამიანმა გადაწყვიტოს სახელმწიფოს ინტერესებზე მაღლა დადგომა. ამ კონსტრუქციულობას სისუსტეში ნუ ჩაგვითვლიან“, — ეს განცხადება ზოგმა მუქარად მიიღო, ზოგმა თავის მართლებად, მაგრამ ფაქტია, რომ ხელისუფლება ცდილობს, კანონი არც თავად დაარღვიოს და არც სხვას დაარღვევინოს, რაც ბოლო წლებში ასე უცხო იყო ქართული სინამდვილისთვის.

პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ხაიშში საკუთარი ინტერესები ბიზნესმენ ლევან პირველს აქვს. როცა ინვესტორი არსებობს და მოლაპარაკებები დასრულებულია, წესით სხვა მხარის ჩარევა თავიდანვე უნდა აღიკვეთოს, მაგრამ მინისტრი ლევან პირველსაც შეხვდა. შეხვედრა მხოლოდ იმას ემსახურებოდა, რომ კალაძეს მაქსიმალური ინფორმაცია ჰქონოდა, რა სურს ბიზნესმენს და რა შეუძლია სახელმწიფოს. დაშინება-დაშანტაჟების პრაქტიკის გაუქმებამ ბიზნესმენებს სულის მოთქმის საშუალება მისცა და ისინიც მიხვდნენ, რომ ხმის ამოღების უფლება აქვთ.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ პრესკონფერენციაზე კალაძეს საგარეო ურთიერთობებზეც ჰკითხეს, ფეხბურთზეც, საწვავის ფასზეც, სხვადასხვა ქვეყნიდან მოსალოდნელ ინვესტიციებზეც და... ყველაფერზე მიიღეს პასუხი. ვერ გეტყვით, რატომ უნდა სცოდნოდა მინისტრს ის, რომ არგენტინული სახლი საქართველოში პელეს ჩამოყვანას და ოთხთა ტურნირის გამართვას გეგმავს, მაგრამ ფაქტია, რომ დეტალებში იცოდა. დეტალებში იცოდა კახეთის რაიონის სოფლების გამრიცხველიანების თემაც და ისიც, თუ როდის დადებდა ეკონომიკის სამინისტრო განვითარების გრძელვადიან გეგმას. სხვათა შორის, ანალოგიურ გეგმაზე ენერგეტიკის სამინისტროც მუშაობს გეგმის პირველი ნაწილის პრეზენტაცია აგვისტოში იგეგმება.

„როცა საუბარია გრძელვადიან გეგმაზე, დოკუმენტს ერთ თვეში ვერ დავდებთ. ეს იქნება სამუშაო დოკუმენტი და მასში ცვლილებები შევა იმის მიხედვით, თუ როგორ განვითარდება მსოფლიო. იგივეს აკეთებს ეკონომიკის სამინისტრო და დარწმუნებული ვარ, როცა ამ გეგმის პრეზენტაცია მოხდება, ჟურნალისტები ობიექტურად შეაფასებთ გაწეულ სამუშაოს“, — განაცხადა კალაძემ.

სხვათა შორის, მინისტრმა არ უარყო, რომ რუსეთთან ურთიერთობის დალაგება პრიორიტეტია.

„ევროპელებიც კი გვეუბნებიან, რომ რუსეთთან ურთიერთობის დალაგება აუცილებელია. ჩვენ მზად ვართ დიალოგისთვის, თუმცა ნუ შევიქმნით ილუზიას, რომ ყველაფერი მალე მოხდება. ეს გრძელვადიანი პროცესია. ჩვენი მხრიდან აგრესიას გამოვრიცხავ, რადგან ამ აგრესიამ 2008 წელს შეშფოთებულ-აღშფოთებული ევროპა და დაკარგული ტერიტორიები მოგვიტანა. დიახ, გავიმეორებ, ეს იყო შეშფოთებულ-აღშფოთებული ევროპა და მეტი არაფერი. თუ ვინმეს სხვა აზრი აქვს, მითხრას. რა თქმა უნდა, ამ განცხადებას ბევრი მოისმენს და კუდის გამობმასაც შეეცდება, მაგრამ სიმართლეს ვამბობ და ყველგან გავიმეორებ“, — დასძინა კალაძემ.

სხვათა შორის, არ გვახსენდება, წინა ხელისუფლებას ევროპელებზე კრიტიკა დასცდენოდა მაშინაც კი, როცა ამას იმსახურებდნენ. ისინი ცდილობდნენ რუსეთის გაღიზიანებას, ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსების მოფერებას და... ადგილობრივი მოსახლეობა ანუ ხალხი მათთვის, უბრალოდ, არ არსებობდა.

„ჯვარედინი დაკითხვა“ ყაზახური კომპანიის, „აქსაი ბიემსის“ საჩივრის თემით გაგრძელდა, მერე კი მინისტრს დაპირებებიც შეახსენეს.

„ყაზახრუმა კომპანიამ ერთხელ დაარღვია ხელშეკრულება და ვაპატიეთ, მერე მეორედ და ვაპატიეთ, მესამედ კი ლიცენზია ჩამოვართვით. ვიცი, ისინი ჩივილს აპირებენ სასამართლოში და სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, თუ სახელმწიფო მათ არასწორად მოექცა, ვაგებ პასუხს, მაგრამ მერწმუნეთ, ბოლომდე მართლები ვართ. რაც შეეხება ტარიფების შემცირებას, უახლოეს მომავალში ამის რეზერვი არ არსებობს. არასოდეს მითქვამს, რომ ბენზინი ლარით გაიაფდებოდა. ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ ნაციონალურ მოძრაობას საქართველოში შემოსული საწვავის თითოეული ლიტრიდან ხუთი თეთრი მიჰქონდა და ამ ფულს ქეშად იღებდა. ჩვენ კორიდორი გავასუფთავეთ, ნებისმიერს შეუძლია, საქართველოში შემოვიდეს და საწვავი შემოიტანოს და ფასების დაწევას ამანაც უნდა შეუწყოს ხელი“, — ამბობს კალაძე.

ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ხელისუფლება არ ცდილობს უაზრო დაპირებებით ხალხის მოტყუებას და სიმართლეს ამბობს. სიმართლე ხშირად მწარეა, მაგრამ, სამაგიეროდ, ილუზიებში ცხოვრებას სჯობს და ეს მაშინ, როცა მთელი ცხრა წელი ვიცოდით, რომ არსებობდა აყვავებული ქვეყანა, რომელიც მსოფლიო რეიტინგებში ლიდერობდა და... ამ ქვეყანაში ვცხოვრობდით, თუმცა ვერც აყვავებას ვგრძნობდით, ვერც მატერიალურ სიკეთეს და საერთოდ, ჩვენს ნაცვლად ფიქრობდნენ, გეგმავდნენ და აკეთებდნენ ყველაფერს, რაც სურდათ.

ისე როგორ იქნებოდა, კალაძისთვის პუტინის განცხადება არ შეეხსენებინათ და მთავრობაში მოსალოდნელ ცვლილებებზეც არ ეთქვათ ორიოდ სიტყვა. იმის გათვალისწინებით, რომ ბატონი კახა ვიცე-პრემიერის პოსტს იკავებს, მისი განცხადება ხელისუფლების პოზიციად შეიძლება შეფასდეს. შედეგად, ხელისუფლება მზად არის, რუსეთთან მოლაპარაკებები დაიწყოს და ვლადიმერ პუტინს არამარტო პრეზიდენტი, არამედ პრემიერ-მინისტრიც შეხვდეს. რაც შეეხება მოსალოდნელ ცვლილებებს, გადაადგილებები არ იგეგმება და გარდა იმისა, რომ ეს მინისტრებს მშვიდად მუშაობის უფლებას აძლევს, სტაბილურობის შეგრძნება ზოგადად ძალიან მნიშვნელოვანია.

„ჩვენ მზად ვართ რუსეთთან სასაუბროდ, მაგრამ ამავე დროს გვიხარია, რომ ამერიკელი კონგრესმენების ჯგუფმა ამერიკის სახელმწიფო მდივნის, ჯონ კერის სახელზე მიმართვა გაავრცელა და მოუწოდა, ნატო-ს სამიტზე განხილული იყოს ასპირანტი ქვეყნების და მათ შორის საქართველოს მაპ-ის მინიჭების საკითხი. რუსეთთან საუბარი არ ნიშნავს ევროპული არჩევანისა და ნატო-სგან გამიჯვნას“, — განაცხადა მინისტრმა.

რეალურად, ხელისუფლების ასეთი პოზიცია ევროპელი და ამერიკელი პარტნიორების მოწონებას უნდა იმსახურებდეს. იმ პირობებში, როცა, მაგალითად, გერმანიას რუსეთთან 600-მილიარდიანი ბრუნვა აქვს, არანაირად არ უნდა აწყობდეს ურთიერთობის დაძაბვა (ესეც კალაძის სიტყვებია) და მომხრეა იმისა, რომ საქართველომ ყველა გზა გამოიყენოს საუბრისთვის. რუსულ ბაზარზე შესვლის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლება და, კონკრეტულად, ენერგეტიკის სამინისტრო ერთ ისეთ პროექტს გეგმავს, რომელიც ურთიერთობებს სხვა ჭრილში გადაიყვანს და ორი ქვეყნის სტრატეგიული ინტერესები ერთმანეთს დაემთხვევა.

მინისტრის ინფორმაციით, დარიალის ხეობაში ახალი, 500 მეგავატიანი ხაზის მშენებლობა იგეგმება. საზღვრის მეორე მხარეს ანალოგიურ ხაზს აშენებენ რუსებიც და თუ შეთანხმება მოხდება (და სავარაუდოდ, აუცილებლად მოხდება), რუსეთი საქართველოს გავლით ჯერ თურქეთს, შემდეგ კი ევროპას ელექტროენერგიას მიაწვდის, რაც მხარეებს სტრატეგიულ პარტნიორებად აქცევს. ასეთ დროს კი საუბარი და შეთანხმება ბევრად მარტივია.

მინისტრს არც ის დაუმალავს, რომ საქართველოში აქამდე უპრეცედენტო პროექტი ხორციელდება და გორში ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა იგეგმება. მაისიდან პროექტის განხორციელება იწყება და, თუ გაამართლებს, ანალოგიური პრაქტიკა სხვა რეგიონებშიც დაინერგება. აგვისტოს აგრესიის შემდეგ, წინა ხელისუფლება გორში რაიმე სერიოზული პროექტის განხორციელებას ერიდებოდა, მოქმედი კი არ მალავს, რომ ამისთვის მზად არის და საკუთარი თავის იმედი აქვს. გორში ელექტროსადგურის მშენებლობა პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, რომ ხელისუფლება არანაირად არ აპირებს საბრძოლო მოქმედებებში ჩაბმას და შიში იმისა, რომ ამ მთავრობის პირობებში საქმე სამხედრო დაპირისპირებამდე მივა, უსაფუძვლოა.

დასასრულ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიღების მხრივ ენერგეტიკის სამინისტრო 2013 წელს პირველ ადგილზე იმყოფებოდა და ამ პოზიციის დათმობას არც წელს აპირებს. კალაძე არ მალავს, რომ სამუშაო რთულია, მაგრამ სირთულეების არ ეშინია, რადგან...

2001 წელს კიევიდან მილანში ჩასულ კალაძეს იტალიური კლუბის ხელმძღვანელებმა „დიაგნოზი“ დაუსვეს — იგი უნივერსალია.

ვერსიანიუსი

პირადი ცხოვრების უკანონო მოსმენასა და ჩაწერაზე კანონი მკაცრდება

შს მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძის თქმით, მთავრობამ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შესახებ კანონპროექტი განიხილა. **„უკანასკნელი წლების განმავლობაში ხდებოდა ადამიანის პირადი და ინტიმური ცხოვრების უკანონო მიყურადება და ჩაწერა. ამ კანონის დარღვევა ითვალისწინებდა მხოლოდ 3 წლამდე პასუხისმგებლობას. ვადა გაიზრდება 7 წლამდე“**, — განაცხადა მინისტრმა და განმარტა, რომ ეს კანონი ნებისმიერ ადამიანს შეეხება: **„თუ ადამიანს ხელში ჩაუვარდა ვინმეს პირადი ცხოვრების ამსახველი მასალა და მას საგამოძიებო ორგანოებში წარადგენს, პასუხისმგებლობა არ დადგება. თუ მას სხვა მიზნებისთვის გამოიყენებს, ამ შემთხვევაში პასუხისგებაში მიეცემა“.**

„პირველი“

100 ათასი ლარი ჯილდო მას, ვინც „საბაში“ ხანძრის რეალურ შემკვეთსა და შემსრულებელს დაასახელებს!



საქართველო
მპს. "ელექტროპლასტი"
0192, თბილისი, თორნიკე ერისთავის 5
ტელ.: 269-06-53, 269-06-52, 269-06-79, 269-18-59
ფაქსი: 269-06-53
E-mail: saba_luka@yahoo.com

GEORGIA
"ELEKTROPLAST" LTD
5, Tornike Eristavi str., Tbilisi 0192,
Tel.: (995 32) 269-06-53,2 69-06-52, 269-06-79, 269-18-59
Fax: 269-06-53
E-mail: saba_luka@yahoo.com

ООО "ЭЛЕКТРОПЛАСТ" Грузия, Тбилиси, 0192 ул. Торнике Эристави 5. Тел.: (995 32) 269-91-35, 269-31-70, 269-38-51, 269-83-76; Факс: (995 32) 269-31-70

12.02.14 № 24 № _____

საჯარო განცხადება

1) 100 000 (ასი ათასი) ლარი მას ვინც მიაწვდის გამოძიებას უტყუარ ინფორმაციას 2013 წლის 26 თებერვალს სავაჭრო სახლ საბაში მომხდარი ხანძრის გამჩენზე, დამკვეთზე და შემსრულებელზე.

2) ჯილდო გაიცემა დამნაშავის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის შემდეგ, რომელიც გასაჩივრების შემთხვევაში უცვლელად დარჩება ყველა ინსტანციის სასამართლოში.

3) განცხადება გამოქვეყნდეს პრესით და ტელევიზიით.

4) დაპირება ძალაშია ინფორმაციის საჯაროდ გამოცხადებისთანავე და მოქმედებს ერთი წლის ვადაში.

5) აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სრული ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ მიმართოთ ჩემს ადვოკატს ალექსანდრე ალადაშვილს ტელეფონის ნომერზე 599 108043.

შპს "ელექტროპლასტი"-ს
დირექტორი: ბ. ბაბუჩარავა

ბიზნესმენ პაატა კაჭარავას სენსაციური ინიციატივა

გიორგი გიორგაძე

სს „ელექტროპლასტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, სავაჭრო სახლ „საბას“ მფლობელი პაატა კაჭარავა, „ვერსიასთან“ საუბრისას, სენსაციურ გაცხადებას აკეთებს — მეწარმე, რომელიც ზუსტად ერთი წლის წინ, 2013 წლის 26 თებერვალს „საბაში“ გაჩენილმა ხანძარმა 7 მილიონით დააზარალა, მზადაა, 100 ათასი ლარის ჯილდო დააწესოს მისთვის, ვინც ხანძრის შემკვეთისა და შემსრულებლის შესახებ გამოძიებას უტყუარ ინფორმაციას მიაწვდის! სხვათა შორის, კაჭარავა, როგორც ამბობს, აპირებდა, ეს თანხა დაეზღვია, მაგრამ ქართულმა სადაზღვევო კომპანიებმა, იქიდან გამომდინარე, რომ ასეთი პრეცედენტი ჩვენ ქვეყანაში ჯერ არ ყოფილა, ვერ მოიფიქრეს ფორმა, რომლითაც 100 ათასს დააზღვევდნენ. ბიზნესმენმა გამოსავალი მოძებნა — როგორც შპს „ელექტროპლასტის“ დირექტორმა, გამოსცა სპეციალური განკარგულება, რათა სააქციო საზოგადოებამ ზემოხსენებული თანხა საკუთარი ბიუჯეტიდან გამოყოს. პაატა კაჭარავას მიერ დაწესებული ჯილდო ძალაში ერთი წლის განმავლობაში ანუ 2015 წლის 26 თებერვლამდე იქნება. 100 ათასი, ცხადია, პატარა თანხა არაა. შესაბამისად, არსებობს ალბათობა, რომ ვიღაცებმა ტყუილად თქვან, ხანძრის შემკვეთიც ვიცი და მისი შემსრულებელიცო, მაგრამ პაატა კაჭარავას ადვოკატის, ალექსანდრე ალადაშვილის განმარტებით, ინფორმატორმა, რომლის ვინაობაც არ გახმაურდება, გამოძიებას მტკიცებულებები უნდა მიაწოდოს და 100-ათასიანი ჯილდო მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიცემა, თუ დადგინდება, რომ ინფორმატორი არ ცრუობს. მოკლედ, თუ 2013 წლის 26 თებერვალს სავაჭრო სახლ „საბაში“ გაჩენილი ხანძრის შემკვეთისა და შემსრულებლის შესახებ რამე იცით, შსს-ს გლდანი-ნაძალადევის პოლიციის გამომძიებელ გუგულაშვილს დაუკავშირდით. სხვათა შორის, „საბაში“ გაჩენილ ხანძარზე საქმე სხვისი ქონების განზრახ განადგურების მუხლითაა აღძრული, რაც თავისუფლების 8 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს.

ალექსანდრე ალადაშვილი, პაატა კაჭარავას ადვოკატი: — არსებობს ეჭვი, რომ ხანძარი სპეციალურად გააჩინეს და ამის დასადასტურებლად ჩვენს მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი სახანძრო ექსპერტიზა მოგვყავს, რომელიც საქართველოში ყველაზე კარგმა, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ჩაატარეს. პირველი ექსპერტიზა სახანძრო სამსახურმა ანუ სახელმწიფომ ჩაატარა და ამ საქმის გახსნა მის ინტერესში, რა თქმა უნდა, არ შედიოდა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ იმ ხალხს, ვინც ადრე იყო, ბერკეტები კიდევ აქვს. გარდა იმისა, რომ ხანძარი პოლიტიკური საბოტაჟის საბაბით, შეიძლება, ნაციონალებმა გააჩინეს, ეჭვი კონკურენტებზეც გვაქვს, რადგან ავეჯის ბიზნესში ყველაზე კარგი პირობები „საბას“ აქვს. რაც შეეხება „დინამო არენას“, იქ ავეჯით უკანონოდ ვაჭრობენ და ამის შესახებ პაატა კაჭარავამ საქმის კურსში საგადასახადო ინსპექციაც ჩააყენა, მაგრამ რეაგირება არ მომხდარა.

პაატა კაჭარავა, შპს „ელექტროპლასტის“ დირექტორი: — მართალია, 2013 წლის 26 დეკემბერს სპეციალური სავაჭრო ზონის მინიჭების სტატუსი ორი წლით გადაავადეს, მაგრამ საგადასახადო კოდექსის 26-ე მუხლით, თუ ფართს ათზე მეტ სუბიექტს მიაქირავებ, ტერიტორიას სპეციალური სავაჭრო ზონის სტატუსი ენიჭება და ისე იბეგრება, როგორც ბაზრობა. „დინამო არენაზე“ კი, მინიმუმ, 23 მაღაზიაა... თითოეულ ასეთ ფაქტზე ჯარიმა თავდაპირველად 4-დან 10 ათას ლარამდეა, მერე კი, სამმაგდება, მაგრამ „დინამო არენა“ არავის დაუსჯია.

სხვათა შორის, ეს კანონი ძალაში 2011 წელს შევიდა. მანამდე კი, „თბილისი მოლი“ მიხეილ სააკაშვილმა სასწრაფოდ, დაუმთავრებელი შენობა გახსნა, რადგან სპეციალური სავაჭრო ზონის სტატუსი არ მინიჭებოდა.

— ეს კანონი გახსნილ ობიექტებზე არ ვრცელდება?

— გახსნილ ობიექტებზე კანონი 2015 წლიდან უნდა ამოქმედებულიყო, ამასთან 2010 წლამდე გახსნილ ობიექტებს არ ეხებოდა.

ალექსანდრე ალადაშვილი: — ამას წინათ, წერილი მივწერეთ, გვაინტერესებდა, თუ რა ეტაპზეა ხანძრის გამოძიება და ტრაფარეტული პასუხი მივიღეთ, გამოძიება მიმდინარეობსო. მართალია, დაზარალებულები ვართ, მაგრამ კანონით, უფლება არ გვაქვს, საქმის მასალებში ჩავიხედოთ — ნაციონალებმა დაზარალებულს ყველა უფლება მოუსპეს და საქმეში მხოლოდ მოწმის სტატუსით გადის. იმის ნაცვლად, რომ ახალ ხელისუფლებას დაზარალებულის უფლებები დროულად აღედგინა, პარლამენტი სისხლის სამართლის კოდექსში ამ ცვლილებების შეტანას აჭიანურებს. საცოდაობაა, როგორ შეიძლება, დაზარალებულს სტატუსი არ ჰქონდეს?!

— ბატონო ალეკო, ხანძარს ხანდაზმულობის ვადა რამდენი ხანი აქვს?

— ხანდაზმულობამდე შორია... საგულისხმოა, რომ სახელმწიფო ექსპერტიზამ ხანძრის მხოლოდ ერთი კერა დააფიქსირა, დამოუკიდებელმა კი — სამი. მეტიც, სახელმწიფო ექსპერტიზის დასკვნით, ცეცხლი თითქოს ნავთოშენაერთებით სავაჭრო დარბაზში კი არა, გარეთ გაჩნდა, მაგრამ დამოუკიდებელმა ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ ხანძარი სავაჭრო დარბაზში რაღაც სიმაღლიდან „დაიწყო“, რასაც ვიდეოჩანაწერიც ადასტურებს, მაგრამ ვიდეოჩანაწერის მტკიცებულებად აღიარება არ უნდათ. მერე, კიდევ ერთი ექსპერტიზა ჩაატარეს, რომელმაც ახალი ვერაფერი თქვა და, პრინციპში, ვერც დამოუკიდებელი ექსპერტიზის დასკვნა უარყო.

— საქმეს შსს იძიებს თუ პროკურატურა?

— შსს-ს გლდანი-ნაძალადევის სამმართველო.

— გამომძიებელი ვინ არის?

— ზაზა ბუბულაშვილი, თუმცა მასთან პრეტენზია არ გვაქვს, რადგან ამ გამოძიებას რიგითი გამომძიებელი ვერ „გაქაჩავს“, უფრო სერიოზული მუშაობაა საჭირო. მოვითხოვეთ, საქმე შსს-მ ან შსს-ს თბილისის მთავარ სამმართველოს წაეღო, რადგან მას ოპერატიული მუშაობის საშუალება აქვს, მაგრამ არც ეს მოთხოვნა დაგვიკმაყოფილეს.

— არ შეიძლება, საქმეზე კერძო გამოძიება ჩატარდეს?

— კერძო გამოძიება ჩავატარეთ — გამოვკითხეთ მოწმეები, თვითმხილველები და დაცვის ის წევრები, რომლებიც იმ დღეს მორიგებოდნენ და დადასტურდა, რომ პასუხისმგებლობა დაცვასა და სახანძრო სამსახურს ეკისრება.

— სახანძრო რა შუაშია?

— ხანძარს, როგორც წესი, საწინააღმდეგო მიმართულებით აქრობენ, „საბაში“ კი მეხანძრეები ხანძარს, ასე ვთქვათ, მიჰყვებოდნენ. თუ გამოძიებით დადგინდა, რომ ხანძრის დროული ლიკვიდაცია სახანძროს მიზეზით ვერ მოხერხდა, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს მატერიალური ზიანის ანაზღაურება დაეკისრება.

— მაშასადამე, ეჭვობთ, ხანძრის შემკვეთი, შესაძლოა, სახანძროსთანაც იყო შეკრული?

— ამის თქმა ძნელია...

— ბატონო ალექსანდრე, როგორც ადვოკატი, ფიქრობთ, 100 ათასი ლარი, რომელსაც პაატა კაჭარავა ხანძრის შემკვეთისა და შემსრულებლის გამოსავლენად აწესებს, იმუშავებს თუ შარლატანები გამოჩნდებიან?

— ეჭვი არ მეპარება, შარლატანები გამოჩნდებიან.

— აბა, როგორ გაიგებთ, ინფორმატორი სიმართლეს ამბობს თუ ტყუის, სიცრუის დეტექტორზე ხომ არ შეამოწმებთ?

— ვინც იტყვის, რომ ხანძრის შემკვეთისა და შემსრულებლის ვინაობა იცის, ფაქტებიც უნდა დადოს და თუ დადასტურდება, ჯილდოს, 100 ათას ლარსაც მიიღებს!

პაატა კაჭარავა: — ჩემი ერთადერთი მიზანი დამნაშავის დადგენაა და არა განტევების ვაცის პოვნა.

— ბატონო პაატა, ამ ჯილდოს დაწესების შემდეგ, ვთქვათ, რეალური შემსრულებელი იპოვეთ, მაგრამ მან შემკვეთის ვინაობა არ დაასახელა და ყველაფერი საკუთარ თავზე აიღო, მის დასჯას მოითხოვთ თუ შეუნდობთ?

— ამ ქვეყანაში კანონი მოქმედებს და თუ უნდათ, სამართლიანობა აღდგეს, პასუხი ყველა დამნაშავემ აგოს. ხანძარმა 164 ადამიანი დააზარალა და, მე რომც შევუნდო, მათაც ხომ უნდა შეუნდონ, აპატიონ?

— გამორიცხავთ, რომ ხანძარი, პოლიტიკური მოტივებითა თუ კონკურენტების დაკვეთით, „საბას“ რომელიმე მოვაჭრემ გააჩინა?

— გამორიცხული არაფერია... ჯერ ერთი, ის უნდა დადგინდეს, ადამიანი, ვინც ხანძარი გააჩინა ან შეუკვეთა, ამ მდგომარეობამდე რამ მიიყვანა და დანაშაულის ჩადენა რამ აიძულა; მეორეც, თუ ამასაც ისე შეუნდობენ, როგორც ყოფილ თანამდებობის პირებს, რომლებმაც ათეულობით მილიონი თანხა გაიტაცეს, მაშინ დანაშაული კი არ შემცირდება, გაიზრდება და ბანანის ქვეყანას დავემსგავსებით! ხანძარმა 7 მილიონის ქონება გაანადგურა და თუ ამისთვის პასუხს არავინ აგებს, ეს დანაშაულის წახალისება იქნება და მეტი არაფერი! იმ დანაშაულისთვის, რომელიც არ ჩამიდენია, თავის დროზე, 3 მილიონი გირაო შემიფარდეს, რომელიც სამ დღეში უნდა გადამეხადა, ისინი კი, ვინც ხალხის ქონება გაფლანგა, 50 ათასი გირაოთი გაათავისუფლეს, გარეთ „დაგულაობენ“ და ჭკუას აქეთ გვარიგებენ.

— ბატონო პაატა, ყოფილმა პრემიერმა სწორედ ასეთ ვითარებაზე თქვა, იუმორით შეხედეთო...

— თუ მაიმუნებთან გვაქვს საქმე და ზოოპარკში ვცხოვრობთ, სხვა საქმეა... იმ მოსამართლეებმა, გამომძიებლებმა და პროკურორებმა, რომლებსაც ძველი ხელისუფლების დროს დანაშაული აქვთ ჩადენილი, თანამდებობა უნდა დატოვონ; მეტიც, უნდა გაირკვევს, ისინი გადაწყვეტილებებს ქვეყნისა და ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე იღებდნენ თუ არა და, თუ დადგინდება, რომ ნაციონალების დაკვეთებს ასრულებდნენ, პასუხი უნდა აგონ. სხვა შემთხვევაში, გაღიზიანებული ხალხი მაშინდელ და ახლანდელ ჩინოვნიკებზე ბევრია... ხალხის მოთმინებასაც აქვს საზღვარი!

— გამორიცხავთ, რომ ასიათასიანი ჯილდო სამართალდამცავებმა ისევ თქვენს წინააღმდეგ შემოაბრუნონ და შეგედავონ — 7 მილიონით იზარალე და ჯილდოს დასაწესებლად ფული საიდანღა გაქვსო?

— ჩემი შემოსავლები ღიაა, ოფშორში ერთი ანგარიშიც არ მაქვს და კანონის ფარგლებში ვმოქმედებ! ასე რომ, არაფრის მეშინია!

ალეკო ალადაშვილი: — პაატა კაჭარავა პასუხისგებაში, თავის დროზე, უკანონოდ მისცეს, საპროცესოს გაფორმების შემდეგ კი ის 5 მილიონი, რომელსაც ედავებოდნენ, გაქრა და უცებ, ზარალი, რომელიც თითქოს სახელმწიფოს მიაყენა, 270 ლარამდე ჩამოვიდა. ლოგიკურად ჩნდება კითხვა: როცა ადამიანს მილიონებს ედავები, მას შემდეგ, რაც თავის ქონებას იძულებით გჩუქნის, ეს მილიონები 270 ლარი როგორ ხდება?..

— ესე იგი, ბატონო ალეკო, დარწმუნებული ხართ, რომ ასიათასიანი ჯილდო გამოძიებას წინ წასწევს?

— არ გამოვრიცხავ, თან ასეთი პრაქტიკა ძალიან ბევრ ქვეყანაშია.

პაატა კაჭარავა: — ჩემი ვერსიით, დაცვის ერთ-ერთმა წევრმა, შეიძლება, სუფრის იმიტაცია მოაწყო, რითიც დაცვის სხვა წევრის ყურადღება მოადუნა...

— სათვალთვალო კამერებმა სუფრის იმიტაცია დააფიქსირეს?

— ნაწილობრივ, ანუ დაცვის წევრები რომ გამოვკითხეთ, თქვეს, რომ შესვენებისთვის ემზადებოდნენ, თუმცა შესვენებას თავის წესი აქვს — როცა ასე ვთქვათ, მეთვალყურე შესვენებაზე გადის, შემცვლელი უნდა დატოვოს. სხვათა შორის, დაცვას ხელშეკრულებაში უწერია, რომ სახანძრო უსაფრთხოება უნდა დაიცვას. მეტიც, მას „საბას“ წარმომადგენელი სახანძრო ინსტრუქტაჟსაც უტარებს...

— სავაჭრო დარბაზში ცეცხლმაქრები იყო?

— რა თქმა უნდა — ზუსტად იქ, სადაც ხანძარი გაჩნდა, 120-კილოგრამიანი ცეცხლმაქრი იდგა, მაგრამ დაცვამ არ გამოიყენა. გარდა ამისა, დარბაზში, ყოველ ოც მეტრში, სტანდარტული ცეცხლმაქრებიც იყო.

„პუტინისთვის ღარიბაშვილი და მარგველაშვილი არაფერს წარმოადგენს!“

პაატა დავითაია ოლიმპიადის შემდეგ რუსეთის გათავხედებასა და სეპარატიზმის გაძლიერებას პროგნოზირებს

რუსუდან შელია
557-100-768

23 თებერვალს, სოჭის ოლიმპიადის დახურვის ცერემონიალზე, რუსეთის მხრიდან მორიგ პროვოკაციებს ელის, საქართველოს პრეზიდენტისა და რუსეთის პირველი პირის შესაძლო შეხვედრას სკეპტიკურად უყურებს, ამბობს, თუ შეხვედრაზე განხილვის მთავარი თემა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა არ იქნება, ქართული დელეგაციის რუსეთში ვიზიტი, იმპერიაში მარიონეტის სტუმრობას დაემსგავსებაო. „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი პაატა დავითაია „ვერსიასთან“ სოჭის ოლიმპიადის პოლიტიკურ შედეგებსა და რუსეთის პრეზიდენტის შეთავაზებას აფასებს.

— სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობა საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს ეწინააღმდეგება. ოლიმპიადაში გამგზავრებაზე უარი ქართველ სპორტსმენებსაც უნდა ეთქვათ... როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ არაერთი პროვოკაციული ქმედება ჩაიდინა. ფოტომონტაჟის ბრალი იყო თუ თანამგზავრული სისტემა გამოვიდა მწყობრიდან, ფაქტია — საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზეთი და სამაჩაბლო ღრუბლებით იყო დაფარული, ეს კი, ხელისუფლებისთვის საგანგაშო სიგნალი უნდა გამხდარიყო. ამასთან, სოჭის ოლიმპიადაზე ლოჟაში ანქვაბისა და თიბილოვის ყოფნა, საქართველოს დისკრიმინაციისთვის იყო გამიზნული. საქართველოს სახელმწიფო აპარატი კი, ძირითადად, რუსეთის გამართლებითა და დაცვითაა დაკავებული. ეს მიანიშნებს, რომ ქართული სახელმწიფო სუსტია და ჩამოუყალიბებელი პოლიტიკა აქვს. ოლიმპიური თამაშების შემდეგ რუსეთი უფრო გათავხედდება, სეპარატისტული ძალები კი გაძლიერდებიან.

— რას გულისხმობთ?

— ამას მალე ვნახავთ, თუმცა, შესაძლოა, უკვე გვიანიც იყოს.

— სოჭის ოლიმპიადაში ქართველების მონაწილეობა აფხაზებშიც ნეგატიურად შეფასდა?

— აფხაზები, დიდი ხანია, საქართველოს ხელისუფლებას დასცინიან. ხომ გაჩნდა მოლოდინი, რომ პაატა ზაქარეიშვილი აფხაზეთს დაიბრუნებდა, რატომ არ ჩავიდა აფხაზეთში? ამ მიმართულებით ერთი ნაბიჯითაც არ წავსულვართ წინ. რეალური ძვრების მოლოდინი არც მაქვს! რუსეთი მორიგ პროვოკაციას შემოგვთავაზებს. 23 თებერვალი რუსეთის შეიარაღებული ძალების დღეა, ამიტომ სწორედ ამ დღეს, კრემლი წარმატებულ სამხედრო ოპერაციად, აგრესორი ქართველებისგან აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დაცვას დაასახელებს. ეს სერიოზული განცხადება იქნება და ჩვენ წისქვილზე არ დაასხამს წყალს.

— და ქართული მხარე მსგავსი პროვოკაციის გამართლებასაც შეეცდება?

— ზოგადად, „ქართული ოცნების“ ადეკვატურობაზე საუბარი ძალიან რთულია...

— სოჭის ოლიმპიადაზე პუტინმა საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრა არ გამორიცხა. ორი ქვეყნის პირველი პირების საუბარი ურთიერთობებში არაფერს შეცვლის?

— ვინმე ფიქრობს, რომ პუტინის მიერ, თუნდაც დანიშნული შეხვედრა, ქართული მხარისთვის სერიოზული მიღწევაა? თუ ხელისუფლება ასე ფიქრობს, კი ბატონო, წინ, ბიჭებო! ამ შეხვედრას მხოლოდ მაშინ ექნება აზრი, თუ განხილვის ძირითადი თემა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენა გახდება. სამწუხაროდ, რუსეთის თითოეულ ქმედებაში ჩანს, რომ ამ მიმართულებით, ჩვენთვის სასარგებლო ნაბიჯების გადადგმას არ გეგმავენ. შესაბამისად, თუ შეხვედრა დაიგეგმება, გამოვა, რომ მარიონეტი დამპყრობელს ეახლება. ვის აქვს ილუზია, რომ რუსეთი ცხინვალსა და სოხუმს დათმობს? რატომ ვიტყუებთ ან რატომ ვატყუებინებთ ხელისუფლებას თავს?! პუტინისთვის ღარიბაშვილი და მარგველაშვილი არაფერს წარმოადგენს! ზოგიერთისთვის რუსულ ბაზარზე ღვინის გატანა მიიჩნევა შედეგად, ნაწილისთვის მოსკოვში გამართული კონცერტებია წარმატება... ჩემთვის კი, ერთადერთი მიზანი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა.

— თუ დიპლომატიურ დათმობაზე უარი უნდა ვთქვათ, რა ალტერნატივას გვაძლევს ხისტი პოლიტიკა, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა წლების განმავლობაში ატარებდა?

— ზოგადად, რუსეთი იმპერიაა და მისი ქმედებებიც ჩემთვის გასაგებია — იმპერია ტერიტორიული გაფართოების პოლიტიკას აწარმოებს. ამ ფონზე, საქართველოს მთავრობის ქმედებები აბსოლუტურად გაუგებარია. ამიხსნას ვინმემ, რუსეთის ოკუპაციას ვეწინააღმდეგებით თუ ამაში ხელს ვუწყობთ? საქართველოს ხელისუფლებას ყველაფერი ერთად უნდა — რუსეთის მონობაც, ევროპასთან ინტეგრაციაც, თუმცა მსგავსი პოლიტიკით მოსკოვსაც გადაიმტერებს და დასავლეთსაც. მაგალითად, პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, რუსულ ტელეკომპანიასთან გიორგი მარგველაშვილის ინტერვიუ პუტინის თანაშემწის საუბარს ჰგავდა, რამდენიმე დღის წინ კი განაცხადა, რომ პუტინთან შეხვედრა უჭირს. ამ დროს, პიონერმა ირაკლი ღარიბაშვილმა ხელის აწევით ოკუპანტ პუტინს პიონერული სალამი გაუგზავნა — „ია გატოვ, ვსეგდა გატოვ“. პუტინის მესიჯი მარტივია — ტერიტორიები დავიპყარი, ახლა კი მის მმართველსაც ჩემთან ვიბარებო.

— მიხეილ სააკაშვილიც ხომ ეახლა ვლადიმერ პუტინს?

— ეს 2008 წლამდე მოხდა, ომამდე, რუსეთი კონფლიქტში მშვიდობისმყოფლის სტატუსით მონაწილეობდა, აგვისტოს ომის შემდეგ კი საერთაშორისო ორგანიზაციებისთვისაც ოკუპანტი გახდა. მიხეილ სააკაშვილს არ ვიცავ, უბრალოდ, დიდი ხანია რუსეთთან ურთიერთობის პოლიტიკას ვაკვირდები. დღეს ამ მიმართულებით გამოკვეთილი პოზიცია რომ არ არსებობს, ეს ქვეყნისთვის სერიოზული პრობლემაა.

— თუ ასეთი შეხვედრა შედგა, თანაც ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებამდე, საერთაშორისო დონეზე როგორი შეფასება მოყვება?

— თუ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, ოკუპაცია და რუსეთის მხრიდან ღია პროვოკაციები საქართველოში არ ადარდებთ, რეაქცია არც დასავლეთს ექნება.

„საქართველოს ბანკის“ დაფინანსებით, საქართველოში სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის უნიკალური ცენტრი გაიხსნა

„საქართველოს ბანკის“ დაფინანსებით, თბილისში, სანდრო ეულის №7-ში, სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის უნიკალური ცენტრი Health Palace გაიხსნა. ცენტრის პრეზენტაციას, ჟურნალისტებთან ერთად, სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვადასხვა კომპანიის, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები, მოქმედი თუ ვეტერანი სპორტსმენები და სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრიც ესწრებოდნენ. უმაღლესი დონის მრავალფუნქციური სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრის სამშენებლო სამუშაოები, „ტეტრისმა“ განახორციელა.

დავით ფანჯაკიძე: „ერთი წლის წინ აქ ვერაფერს ნახავდით. იყო ცარიელი ადგილი და იდეა. ერთ წელიწადში, ასეთი უნიკალური პროექტი განვახორციელეთ. თავიდანვე მივხვდით, რომ ამგვარი ცენტრის არსებობა, ქვეყნისთვის არა მხოლოდ საინტერესო, არამედ, აუცილებელიცაა. არადა, ასეთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება „საქართველოს ბანკის“ დახმარების გარეშე, ძალიან რთული იქნებოდა, ამიტომ, დიდი მადლობა ამ ბანკს, რომ დაინტერესდა პროექტით და მისი განხორციელების საშუალება მოგვცა“.

„საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილემ **სულხან გვალია** განაცხადა, რომ ბანკი მსგავს საინტერესო და მნიშვნელოვან პროექტს მომავალშიც დააფინანსებს: **„საქართველოს ბანკი“ ჯანდაცვის სფეროს აქტიურად აკრედიტებს. სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი საქართველოში პირველად გაიხსნა და ჩვენმა ბანკმა მის დასაფინანსებლად სიამოვნებით გამოყო თანხა. ამ სფეროში, ეკონომიკურად გამართლებულ პროექტებს მომავალშიც აუცილებლად დავაფინანსებთ. ჩვენთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისაა, რომ აღნიშნული ცენტრი სრულიად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის. მომავალშიც, თუ ცენტრს განვითარების მხრივ რაიმე ახალი პროექტი ექნება, „საქართველოს ბანკი“ მზად იქნება თანამშრომლობისთვის“.**

თანამშრომლობისთვის მზად არის სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროც. მეტიც, ცენტრის ნახვის შემდეგ, მინისტრმა **ლევან ყიფიანმა** განაცხადა, ჩემი ბავშვობის ოცნება ასრულდაო: **„ქვეყანაში ასეთი სახის ცენტრების არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია. შეიძლება ითქვას, სპორტი და მედიცინა, განუყოფელია. ყველა იმ დადებითი შედეგის, გამარჯვების ერთ-ერთი საფუძველი, რომელსაც ჩვენი სპორტსმენებისგან ველით, მედიცინაა. ასეთი ტიპის სარეაბილიტაციო ცენტრის არსებობა, ამ დარგის განვითარებასაც შეუწყობს ხელს და დარწმუნებული ვარ, სპორტსმენების გამარჯვებებზეც აისახება“.**

Health Palace — ცენტრი ყველასთვის!

პროექტის მნიშვნელობასა და უნიკალობაზე ისაუბრა Health Palace-ის გენერალურმა დირექტორმა **დავით ტატიშვილმაც.** მისი თქმით: **„საქართველოს ბანკისა“ და სამშენებლო კომპანია „ტეტრისის“ დამსახურებით, პირველად, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, მოგვეცა შესაძლებლობა, ერთ ცენტრში, ყველა ასაკის, ჯანმრთელობის ნებისმიერი პრობლემის მქონე ადამიანს, ჩაუტარდეს ნებისმიერი სახის აღდგენითი სამედიცინო ღონისძიება, მსოფლიო სტანდარტებით დანერგილი კლასიკური რეაბილიტაციის ნებისმიერი კურსი იქნება თუ მარილოვანი მღვიმის გამოყენება, ანუ კურორტული ტიპის მკურნალობა. განსაკუთრებით საამაყოა, რომ აქ ყველანაირი კომფორტია შექმნილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის. საქართველოში, იყვნენ ძალიან მაღალი დონის ექიმი-რეაბილიტოლოგები, მაგრამ არ არსებობდა ბაზა, სადაც ისინი წარმატებით იმუშავებდნენ. დიდი მადლობა „საქართველოს ბანკს“ და „ტეტრისს“, რომ მოგვცეს საშუალება, შეგვექმნა ასეთი ბაზა“.**

რაც შეეხება ცენტრის უნიკალობას — Health Palace სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის პირველი უნივერსალური კომპლექსია საქართველოში. აღჭურვილია ულტრათანამედროვე სამედიცინო სარეაბილიტაციო აპარატურით. Health Palace-ის გარემო სრულადაა ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების თავისუფლად მიღებისა და რეაბილიტაციისთვის. აქ, სპორტულ დარბაზში, ყველა ტრენაჟორიც კი, შშმ პირებზეა მორგებული — მათთან ინვალიდის ეტლით მისვლას და ვარჯიშს, ადამიანები დამოუკიდებლადაც შეძლებენ. ე.წ. მორბენალ ბილიკზე ვარჯიშს კი, ის ადამიანებიც მოახერხებენ, ვისაც ყავარჯნებით გადაადგილება უხდებათ. შშმ პირებზეა გათვლილი აუზიც, სადაც წყლის ტრენაჟორებიც დაგხვდებათ და აუზში ჩასასვლელი ლიფტიც. აქ შესაძლებელია ჰიდროთერაპიის სრული კურსის ჩატარება, ყველა პაციენტისთვის, მათ შორის ბავშვებისთვისაც. აუზის ფსკერი განსაკუთრებული მასალითაა მოპირკეთებული, რომელზეც ფეხი არ აგიცდებათ.

სიახლე, რომელიც Health Palace-მა სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის სფეროში დანერგა, ჰალოთერაპიაა, რისთვისაც შეიქმნა ჰიმალაის მარილითა და ვარდისფერი კვარცით მოპირკეთებული ხელოვნური მღვიმე. ჰალოთერაპიით სარგებლობა შეუძლია ყველას, ვისაც აქვს სასუნთქი გზების, კანისა და გულსისხლძარღვთა დაავადებები, ქრონიკული დაღლილობისა და უძილობის პრობლემები, ასთმა...

კიდევ ერთი სიახლე, რასაც Health Palace გვთავაზობს, მექანოთერაპიაა — აქტიურად გამოიყენება რეაბილიტაციის დროს. Fisiotekis აპარატი მათემატიკური სიზუსტით ასრულებს პროცედურას. მას იყენებენ სახსრის ტრავმის ან ქირურგიული ჩარევის შემდგომი რეაბილიტაციისას.

ცენტრში მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებისა და მრავალფეროვანი სერვისების არსებობა საშუალებას აძლევს ნებისმიერ ადამიანს, მათ შორის, სპორტსმენებს, აღიდგინოს ჯანმრთელობა უმოკლეს დროში, ან უბრალოდ იზრუნოს საკუთარ სილამაზეზე — აქ ყველაზე მოთხოვნად, ჯანმრთელობისა და ახალგაზრდობის შენარჩუნებისთვის აუცილებელ პროცედურებსაც ჩაგიტარებენ, ყველა სახის მასაჟით, სამკურნალო ტალახებითა და პარაფინის აპლიკაციებით, შეფუთვით დაწყებული, კედრის მინი საუნის პროცედურებითა და აკვაერობიკით დამთავრებული.

ნინო ლურსმანაშვილი

ანი ბეშიტაიშვილი
597-39-99-42

„სკოლაში ბავშვი კონკრეტული ასაკის კი არა, ინდივიდუალური შესაძლებლობების მიხედვით უნდა შევიდეს“

როგორ აფასებს ფსიქოლოგი მთავრობის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვით, 5 წლის ბავშვებს სკოლაში აღარ მიიღებენ

წინა მთავრობის გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად, მშობელი სკოლაში 5 წლის შვილის მიყვანასაც შეძლებდა, თავის დროზევე არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. საზოგადოების ნაწილი მიიჩნევდა, რომ 5 წლის ბავშვს სკოლის პროგრამის ათვისება არ შეუძლია. ნაწილი კი ამტკიცებდა, რომ „ინდიგო თაობისთვის“ 6 წლამდე „სახლში ჯდომა“ დროის ფლანგვა და, მომავალში, სწავლისადმი ინტერესის დაკარგვის საფუძველი იყო. როგორც ჩანს, ახალი ხელისუფლება პირველი კატეგორიის აზრს იზიარებს — განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, 2015 წლიდან 5 წლის ბავშვებს სკოლაში აღარ მიიღებენ. რამდენად სწორია ეს გადაწყვეტილება და, ზოგადად, უნდა იყოს თუ არა განსაზღვრული, კონკრეტულად, რა ასაკში შევიდეს ბავშვი სკოლაში. ბავშვთა ფსიქოლოგი ზაზა ვარდიაშვილი აცხადებს, რომ სასკოლო ასაკი ყოველ ბავშვში ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს.

— ბავშვების, დაახლოებით, 50%-ს ხუთი, 30%-ს ექვსი, დარჩენილ 20%-ს კი რვა წლიდან შეუძლია წერა-კითხვის ათვისება. ამ ფონზე, სკოლაში მიღება უნდა მოხდეს არა კონკრეტული ასაკის, არამედ ინდივიდუალური შესაძლებლობების მიხედვით. ეს იქნება იდეალური მოდელი. პატარები ორი წლიდან, დღეში, ოთხას სიტყვას სწავლობენ, მაგრამ ეს მექანიზმი მერე ქრება. ამ შემთხვევაშიც ასეა — განვითარების რაღაც ეტაპზე, ბავშვი კითხვას სწავლობს, ინტერესდება ასოებით, რიცხვებით...

— წერის შემთხვევაშიც ასეა?

— წერის ასათვისებლად, ნერვი, სტრუქტურულად, ჩამოყალიბებული უნდა იყოს. შესაძლოა, ხუთი წლის ბავშვმა წერა-კითხვა აითვისოს, მაგრამ მისი სტრუქტურული ჩამოყალიბება დასრულდეს რვა წლის ასაკში, ამიტომ ეს საკითხი მკაცრად არ უნდა მოვაქციოთ ჩარჩოში.

— ჩარჩოში რომ არ მოვაქციოთ, რა გამოვა — სკოლაში ზოგი ბავშვი 5 წლისა შევა, ზოგი კი 6, 7, 8 წლის?

— ამერიკასა და ევროპის ქვეყნებში, პირველ კლასში, ხუთი და ათი წლის მოსწავლეებსაც ნახავთ. ჩვენთან ერთნი ფიქრობენ, რომ მათი შვილი 5 წლის ასაკშიც მზადაა სკოლაში შესასვლელად, სხვას კი არ უნდა სკოლაში ბავშვის ადრე შეყვანა. განათლების სისტემის მეშვეობით, ამ საკითხზე მსჯელობა, ერთხელ და სამუდამოდ, შეიძლება დასრულდეს. გვაქვს შანსი, ვითარება ისე დავალაგოთ, როგორც ცივილურ, განვითარებულ ქვეყანაში — შეფასდეს ბავშვის ფსიქოემოციური სფერო, ინტელექტუალური, წერის განვითარება და ამის მიხედვით განვსაზღვროთ ბავშვი სკოლაში შესასვლელად მზადაა თუ არა. ეს არ მოითხოვს დიდ რესურსს — საჭიროა სპეციალური ნორმატივების შემუშავება. თუ ბავშვი 5 წლის ასაკში მზადაა წერა-კითხვის ასათვისებლად და ამ დროს არ მივიყვანთ სკოლაში, მერე, სწავლა მისთვის უინტერესო გახდება — დავკარგავთ დროს, რომელიც მან ახალი რამის ათვისებაში უნდა გამოიყენოს და ასევე მოტივაციას.

— აქცენტი, ალბათ, მხოლოდ წერა-კითხვის ათვისებაზე არ უნდა გაკეთდეს, ყოფა-ქცევაც მნიშვნელოვანია. 5 წლის ბავშვი მზადაა, გაკვეთილზე „გაუნძრევლად“ იჯდეს?

— ეს მეორე არასწორი დამოკიდებულებაა — გაუნძრევლად ჯდომა არც 5 წლისას უნდა მოვთხოვოთ და არც 9-ისას. ბავშვის განვითარების სხვადასხვა სტადია არსებობს. გარკვეულ სტადიაში ბავშვი მომართულია, მაქსიმალურად აითვისოს ის ადაპტაციური ფუნდამენტი, რაც მის კულტურაშია. მარტივად რომ ვთქვათ, რაღაცების ასათვისებლად, არაა სავალდებულო, ბავშვი ცივილურ სამყაროში იზრდებოდეს. ინდიელი პატარები, რომლებიც ამაზონის ჯუნგლებში ცხოვრობენ, კონკრეტულ სტადიაზე იწყებენ იარაღის კეთების, ნადირობის ელემენტარული პრინციპების ათვისებას. განვითარების ეს სტადია ზოგთან ადრე დგება, ზოგთან, შედარებით, გვიან. არც ისე უნდა ვიფიქროთ, რომ, თუ 6 წლის ბავშვი ჯერ არაა მზად, კონკრეტული უნარები შეითვისოს, მომავალში აუცილებლად ექნება პრობლემები. პირიქით, მასაც აქვს დიდი შანსი, ბევრ წარმატებას მიაღწიოს. ერთ-ერთ მუზეუმში ინახება ხელნაწერი — მე-16-17 საუკუნეში ერთი სტუდენტი თავის მეგობარს წერს, წარმოიდგინე ჩვენ სასწავლებელში არის მამა ანტონი, რომელსაც შეუძლია, ჩუმად, თვალით იკითხოსო. ეს მაშინ საოცრებად ითვლებოდა, რადგან 12 წლამდე კითხვა არ ისწავლებოდა. ახლაც იგივე რომ გავაკეთოთ, ადამიანების დიდი ნაწილი თვალით კითხვას ვეღარ აითვისებს.

— თქვით, რომ 40 წუთის განმავლობაში გაკვეთილზე ჯდომა არასწორი მიდგომაა. მაშინ, გვითხარით, როგორი ტიპის გაკვეთილები უნდა ტარდებოდეს, დაწყებით კლასებში ბავშვებისთვის მოსაწყენი რომ არ იყოს?

— დინამიური — კლასში მოსწავლეების ოპტიმალური რაოდენობა უნდა იყოს. ამ ასაკში, ყურადღების კონცენტრაცია 15 წუთია, თუმცა ესეც ინდივიდუალური ფაქტორია და პროცესი მასწავლებელმა უნდა მართოს. როცა შეატყობს, ბავშვი დაიღალა, მოიწყინა ან ცელქობს, უნდა მისცეს ისეთი დავალება, პატარამ წამოდგომა შეძლოს... საჭიროა შემოქმედებითი დამოკიდებულება, რომელიც მართვადი და სახალისოცაა, მაგრამ ეს უკვე სხვა თემა, პედაგოგიკის ხელოვნებაა.

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

„ექიმების რესერტიფიცირებას გადამზადება უნდა უძღვოდეს წინ“

რატომ ხდება მედიკოსების შემოწმება სავალდებულო და ვინ გადაიხდის რესერტიფიცირების თანხას

მთავრობა ჯანდაცვის სფეროში არსებული ვითარების გაუმჯობესებას ცდილობს. ჯანდაცვის სამინისტრო ექიმების გადამზადებას იწყებს. დავით სერგეენკოს ინფორმაციით, ამიერიდან, მედიკოსები ტესტირებას გაივლიან. მინისტრის ეს გადაწყვეტილება დაკავშირებულია იმ ტექნოლოგიურ სიახლეებთან, რომელიც მედიცინაში ინერგება და რომლის გამოც, ყოველი 5-10 წლის შემდეგ, ექიმების მიდგომაც განახლებას საჭიროებს. **დავით სერგეენკო: „მედიკოსებმა კიდევ ერთხელ უნდა დაამტკიცონ, რომ მათ აქვთ უფლება, გააგრძელონ მუშაობა ახალ რეალობაზე მორგებით, გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია, რათა უმკურნალონ პაციენტს. ის ექიმები, რომლებიც სერტიფიცირებას ვერ გაივლიან, მუშაობას ვერ გააგრძელებენ. 2014 წლიდან რესერტიფიცირება სავალდებულო გახდება. ჯანდაცვითი ტექნოლოგიები ხშირად იცვლება, ამიტომ არამედიკოსების (სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმის თანაშემწეების) ფორმატიც კი მოითხოვს რესერტიფიცირებას. კლინიკურ მედიცინაში, საშუალოდ, 5 წელიწადში ერთხელ ხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც უნდა აისახოს ახალ რეალობაზე. ექიმმა უნდა დაამტკიცოს, რომ სწორედ ამ ახალ რეალობაში მუშაობის კვალიფიკაცია აქვს. ვეცდებით, რესერტიფიცირების თანხა მინიმალური იყოს, ღირებულებას ჯერ ვერ დავასახელებ, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ, ამ სისტემის აღდგენა ექიმების კისერზე რომ არ გადავიდეს. რესერტიფიცირების პროგრამის მიზანი პაციენტისთვის მეტი გარანტიის შექმნა და მომსახურების გაუმჯობესებაა“.**

დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის წევრი **მარინა ბერაძე** ამბობს, რომ ექიმების სერტიფიცირება აუცილებელია, თუ გვინდა, ჯანდაცვის ხარისხიან მომსახურებაზე გადავიდეთ: **„მნიშვნელოვანია, როგორ განხორციელდება პროცესი. „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ, ეს სისტემა, საერთოდ, გაუქმდა, რადგან მაშინ არაფრისმომცემი იყო — რესერტიფიცირებას, სახელმწიფოს ხარჯზე, ექიმების გადამზადება უნდა უძღვოდეს წინ. მნიშვნელოვანია ისიც, რა ეღირება და ვინ გადაიხდის თანხას. ექიმების ისედაც შეჭირვებულ ეკონომიკურ მდგომარეობას, დამატებითი კომპონენტი უფრო გაართულებს. ყველაფერი უნდა იყოს სისტემური ხასიათის“.**

რამდენადაა მზად, ერთი მხრივ, მთავრობა, მაღალ დონეზე ჩაატაროს რესერტიფიცირება, მეორე მხრივ კი ექიმები, თვალი გაუსწორონ ახალ პროფესიულ გამოწვევებს? მარინა ბერაძის აზრით, ზოგადად, ჯანდაცვის სისტემის პერსპექტიული დაგეგმარების გარეშე, შორს ვერ წავალთ: **„მასობრივად უნდა მოხდეს ექიმების გადამზადება და მათ თანამედროვე კვალიფიკაცია უნდა მიენიჭოს. პროფესიონალი ექიმი-ჰოსპიტალისტი, რეანიმატოლოგ-ანესთეზიოლოგი ცოტა გვყავს. ამერიკულმა მხარემ გადაამზადა და ამ კატეგორიის, თუ არ ვცდები, სულ 12 კადრია. პროცესი სასწრაფოდ უნდა დავიწყოთ, მაგრამ არ ვიცი, ინფრასტრუქტურა, სახელმწიფოს მიერ ამ პრობლემაზე გამოყოფილი თანხები რამდენად ადეკვატურია და შეესაბამება თუ არა მოთხოვნებს. ზოგადად, ჯანდაცვის სისტემის პერსპექტიული დაგეგმარება უნდა მოხდეს და ყველაფერი ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ. ჩემთვის უცნობია, სერტიფიცირება, კონკრეტულად, რასთანაა მიბმული. სახელმწიფო საკუთრებაში არც ერთი ჰოსპიტალი და პირველადი ჯანდაცვის ობიექტი არ გვაქვს“.**

ჯანდაცვა ის სფეროა, რომელიც ქვეყნის ყველა მოქალაქეს თანაბრად აინტერესებს. სოციალური ქსელი სავსეა განცხადებებით, სადაც ავადმყოფობის პირისპირ მარტოდდარჩენილი ადამიანები თანადგომასა და შველას ითხოვენ. ხშირად, პროცედურები საქართველოში ვერ ტარდება, საზღვარგარეთ მკურნალობა კი ასტრონომიულ თანხებს უკავშირდება. ამ ფონზე, ჯანდაცვის სფეროში პროფესიული მომზადების, მკურნალობის ხარისხის მატება სასიცოცხლოდ აუცილებელია.

საქართველოში გენმოდიფიცირებული საკვების შემსწავლელი პირველი ლაბორატორია გაიხსნა

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

გააანალიზე მომავალი — ამ დევიზით იწყებს მუშაობას საქართველოში ერთადერთი აკრედიტებული ლაბორატორია Quality Lab, რომელსაც გააჩნია საკვებ პროდუქტსა და სათესლე მასალაში გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმის (გმო) აღმომჩენი ულტრათანამედროვე აპარატი. წერეთელზე მდებარე ხარისხის ლაბორატორიის ოფიციალური გახსნის ცერემონია საკმაოდ ხალხმრავალი იყო — სოფლის მეურნეობის მინისტრი, გარემოს დაცვის სამინისტროს, არასამთავრობო ორგანიზაციების, სხვადასხვა კომპანიის წარმომადგენლები, პარლამენტარები, ჟურნალისტები... სწორედ მათი თანდასწრებით, საზეიმო ვითარებაში გადაეცა ლაბორატორიის დირექტორ ირაკლი ჭკადუას აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პრეზენტაციაზე აბსოლუტურად განსხვავებული პროფესიის ადამიანები ერთმა და, შეიძლება ითქვას, ყველაზე მნიშვნელოვანმა ფაქტორმა მიიყვანა — ამიერიდან, ხარისხის ლაბორატორიის საშუალებით, შესაძლებელია გავარკვიოთ, ესა თუ ის პროდუქცია გენმოდიფიცირებულია თუ არა.

ქართულ ბაზარზე არსებულ რომელ პროდუქტს გამოიკვლევს Quality Lab

გენმოდიფიცირებული პროდუქტისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მათი მავნე ზემოქმედების შესახებ „ვერსია“ უკვე წერდა. არაერთი სტატია მივუძღვენით პრობლემას, რომელიც, ალბათ, ქვეყნის ყველა მოქალაქეს ერთნაირად აწუხებს — ქართულ ბაზარზე აქამდე შეუძლებელი იყო გარკვევა, ჯანსაღ საკვებს მივირთმევთ თუ არა. ვწერდით იმაზეც, რომ მომხმარებელს აქვს უფლება, დეტალურ ინფორმაციას ფლობდეს ბაზარზე წარმოდგენილი პროდუქციისა და მისი ინგრედიენტების შესახებ.

2009 წელს, სოფლის მეურნეობის მინისტრმა გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად, საქართველოში, პროდუქციის ეტიკეტირება უნდა მომხდარიყო — თითოეულ პროდუქტს დაეწერებოდა — არის თუ არა გენმოდიფიცირებული. მინისტრის ბრძანებას ხშირად უწოდებდნენ „მკვდრადშობილს“, რადგან, პროდუქციის ეტიკეტირება არ მომხდარა. „ვერსია“ იმ სავარაუდო და ფარული მიზეზების შესახებაც წერდა, რის გამოც, წლების განმავლობაში, იმპორტიორებთან შეკრულ ჩინოვნიკებს პროდუქციის ეტიკეტირება არ აწყობდათ, თუმცა მინისტრის ბრძანებულების ვერ თუ არშესრულების ოფიციალურ მიზეზად ყოველთვის სახელდებოდა პრობლემა — ქვეყანაში არ არსებობს შესაბამისი ლაბორატორია, რომელიც გამოიკვლევს და დაადგენს, არის თუ არა კონკრეტული პროდუქტი გენმოდიფიცირებულიო.

ასეთი ლაბორატორია საქართველოში უკვე არსებობს და თანაც, როგორც ირკვევა, მხოლოდ ჩვენი ქვეყნის კი არა, ამიერკავკასიის მასშტაბითაა ერთადერთი. ამ ფონზე, გაზვიადებული არ მოგეჩვენებოდათ ხარისხის ლაბორატორიის პრეზენტაციაზე მისული სტუმრების განცხადებები: სოფლის მეურნეობის მინისტრმა **შალვა ფიფია** ლაბორატორიის გახსნას, ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენა უწოდა: **„სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტი სურსათის უვნებლობა და მომხმარებელთა უფლებების დაცვაა. ამისთვის კი, აუცილებელია, ქვეყანაში იყოს თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი ლაბორატორია. ამ ლაბორატორიის გახსნა უმნიშვნელოვანესია, მით უმეტეს, იმ ფონზე, რომ ევროკავშირში ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება მოხდა, რაც ასევე მოიცავს, თავისუფალ ვაჭრობას ევროკავშირთან. ამიერიდან, გვექნება საშუალება, ქართული პროდუქცია გავიდეს ევროპულ ბაზარზე. კონკურენტუნარიანობის მისაღწევად კი, აუცილებელია მისი ხარისხისა და შემადგენლობის კონტროლი მაღალ დონეზე. Quality Lab პირველი აკრედიტებული ლაბორატორიაა საქართველოში, რომელსაც აქვს საშუალება, სხვადასხვა პროდუქციაში, მოკლე ვადაში და მაღალ დონეზე მოახდინოს გენეტიკუარდ მოდიფიცირებული ორგანიზმის იდენტიფიცირება. ეს არის უმნიშვნელოვანესი ჩვენი ქვეყნისთვის“.**

დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელმა **ამირან გამყრელიძემ** აქცენტი იმაზე გააკეთა, რომ ხარისხის ლაბორატორიის არსებობა ქვეყანას ევროკავშირში გაწევრიანებაში დაეხმარება: **„კარგია, რომ ქვეყანა თანდათან მდიდრდება მაღალი ხარისხის სხვადასხვა ბიოლოგიური ლაბორატორიით. ეს წინგადადგმული ნაბიჯია ჩვენი ქვეყნის ევროკავშირში ასოცირების გზაზე. ევროკავშირში ვერ შევალთ, თუ ვერ დავაკმაყოფილეთ მომსახურების შესაბამისი ხარისხი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მალე დაიწყება საქართველოს ბაზარზე არსებული გმო პროდუქტის მარკირება — მოქალაქეებს ექნებათ ინფორმაცია იმის შესახებ, როგორ საკვებს მიირთმევენ“.**

საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, **გია ცაგარეიშვილმა** კი ლაბორატორიის ამოქმედებას „დიდებული წამოწყება“ უწოდა. მისი თქმით: **„საქართველოში ამგვარი ლაბორატორიის ამოქმედება ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველოს პარლამენტი იწყებს ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ კანონის განხილვას. ამ კანონის დამტკიცებისა და ამოქმედების შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, გადაწყდება პრობლემა და მოსახლეობას ექნება არჩევანის საშუალება ნატურალურ და გენმოდიფიცირებულ პროდუქტს შორის“.**

მწვანეთა პარტიის ლიდერს, დეპუტატ **გიორგი გაჩეჩილაძეს** იმედი აქვს, ამ ინფორმაციას მომხმარებელი უახლოეს მომავალში მიიღებს: **„იმედია, ამის შემდეგ მაინც ამოქმედდება სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება, გენმოდიფიცირებული პროდუქტის სავალდებულო მარკირებასთან დაკავშირებით. აქამდე სულ ამბობდნენ, პროდუქციის მარკირება იმიტომ არ ხდება, რომ ლაბორატორია არ არსებობსო. აგერ, ბატონო, აკრედიტებული ლაბორატორია, რომელიც უახლოეს მომავალში, აიღებს საერთაშორისო აკრედიტაციას და ჩაერთვება ლაბორატორიების ქსელში. აღარ არსებობს მიზეზი, რის გამოც, შეიძლება, მარკირების პროცესი შეფერხდეს, თუმცა ვითხოვთ, კანონშიც აისახოს, რომ მზა პროდუქტის მარკირება სავალდებულოა. დღეს, პარლამენტში შესულ კანონში, სოფლის მეურნეობაში საერთოდ იკრძალება გმო ნერგების, თესლისა თუ მასალის გამოყენება ანუ საქართველოს ტერიტორია გმო-სგან თავისუფლდება, რაც ძალიან კარგია“.**

სანამ სტუმრებით გადატვირთულ დარბაზში ცოცხალი მუსიკა ისმოდა და ლაბორატორიით მოხიბლული სტუმრები, ფურშეტზე ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ, Quality Lab-ის დირექტორი ირაკლი ჭკადუა ჟურნალისტებს უხსნიდა, ვის მოემსახურება ლაბორატორია, რა სახის კვლევის ჩატარება შეიძლება აქ არსებული აპარატურით და, ზოგადად, რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის, ამგვარი ხარისხის ლაბორატორიის არსებობა.

— მომხმარებლის ინტერესების გათვალისწინებით, გადავწყვიტეთ, შეგვექმნა საერთაშორისო სტანდარტების მქონე უახლესი ექსპერტკლასის აპარატურით (2013 წელი) აღჭურვილი ხარისხის ლაბორატორია Quality Lab. მისი ცენტრალური ოფისი სრულად აკმაყოფილებს ლაბორატორიისათვის საჭირო საერთაშორისო სტანდარტებს. ლაბორატორიაში დამონტაჟებულია უახლესი ვენტილირების, კლიმატკონტროლის სისტემა, მოწყობილია სტერილური სივრცე, გამწოვი და საშრობი კარადები... ხარისხის ლაბორატორია მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორც თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით, ასევე კიბოს გამომწვევი ნივთიერებათა ჯგუფის (კანცეროგენი) შემცველობის კვლევაზე საკვებ პროდუქტებში. ლაბორატორია აკრედიტებულია. უკვე გადმოგვეცა შესაბამისი ISO სერთიფიკატი. დაახლოებით 1 წელია სხვადასხვა ტიპის აქტივობები დავიწყეთ — გადავამზადეთ კვალიფიციური კადრები, ასევე ჩვენ ევროპელ პარტნიორებთან ერთად, დავნერგეთ გარკვეული ნოვატორული იდეები. დღეს კი, ლაბორატორია უკვე მზადაა, დავიწყოთ გმო პროდუქტის შემოწმება.

— ამ პროექტში რა რაოდენობის ინვესტიცია ჩაიდო და, რადგან ასეთი ლაბორატორია ამიერკავკასიაში ერთადერთია, მხოლოდ ქართულ ბაზარზე არსებულ პროდუქტსა თუ ნედლეულს შეამოწმებთ თუ მეზობელი ქვეყნების კომპანიებსაც მოემსახურებით?

— რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული, დაინტერესების შემთხვევაში, მეზობელ ქვეყნებთანაც ვითანამშრომლოთ. ლაბორატორიაში ადგილობრივი წარმოების პროდუქტსაც გამოვიკვლევთ და იმპორტირებულსაც, რომელსაც მოგვაწვდიან.

— ლაბორატორიას აქვს რესურსი, შეუფერხებლად გამოიკვლიოს ქართულ ბაზარზე არსებული პროდუქცია?

— გვაქვს უახლესი აპარატურა, გვყავს კვალიფიციური კადრები... თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ხარისხის ლაბორატორიას გააჩნია რესურსი, სრულად გამოიკვლიოს ქართულ ბაზარზე არსებული პროდუქცია. მით უმეტეს, რომ თითო პროდუქტის კვლევას, დიდი დრო არ სჭირდება — ანალიზი, დაახლოებით, 6-8 საათში სრულდება.

— ლაბორატორიაში არსებული აპარატურით, პროდუქტის კვლევა ინგრედიენტების დონეზეა შესაძლებელი?

— დიახ, იმ ტექნიკურ-მატერიალური საშუალებით, რაც გვაქვს, თითქმის 100%-იანი სიზუსტით შევამოწმებთ პროდუქციის ხარისხს, თვისობრივი და რაოდენობრივი თვალსაზრისითაც.

— თითო პროდუქტის შემოწმება რა თანხებთან იქნება დაკავშირებული?

— კვლევის ღირებულება ინდივიდუალური იქნება, იმის მიხედვით, კონკრეტულ კომპანიასთან რა სახის თანამშრომლობა გვექნება, რამდენ პროდუქტს შევამოწმებთ...

— როგორ ფიქრობთ, ქართველი მწარმოებლები თქვენთან თანამშრომლობის სურვილს გამოთქვამენ და უკვე თუ გყავთ კლიენტები?

— დიახ, კლიენტები გვყავს. ვფიქრობ, კომპანიები გამოთქვამენ სურვილს, მათი პროდუქცია გამოვიკვლიოთ და საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, არის თუ არა ესა თუ ის პროდუქცია გენმოდიფიცირებული. ასე რომ, ვფიქრობ, დიდი სამუშაო გველის და ასეც უნდა იყოს. გვინდა, მაქსიმალურად გადავდგათ ნაბიჯები ჯანსაღი ცხოვრებისკენ, მომხმარებელს მივაწოდოთ ინფორმაცია, რომელი პროდუქტია ჯანსაღი... ეს კი, ნამდვილად, მომავლისკენ გადადგმული ნაბიჯია. ჩვენი დევიზიც ხომ სწორედ ეს არის — გავაანალიზოთ მომავალი!

ვერსიანიუსი

შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ზუგდიდის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1987 წელს დაბადებული თეიმურაზ დ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფელში, თეიმურაზ დ-ს საცხოვრებელი სახლის ეზოში მდებარე დამხმარე ნაგებობის ჩხრეკისას „ა-კა-ემ“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 1 მჭიდი და 22 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

ვის ინტერესებს ემსახურებიან ქართველი გარემოსდამცველები?!

როგორია საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალი, გვჭირდება თუ არა დიდი ჰესები და რეალურად, რას ემსახურება გარემოსდაცვითი ორგანიზაციების პროტესტი. ამ საკითხებზე, ისრაელის ელექტროკომპანიის საინჟინრო სამმართველოს უფროსი ექსპერტ-ინჟინერი, მეცნიერებათა დოქტორი, გაბრიელ ჯინჯიხაშვილი გვესაუბრება.

— ბატონო გაბრიელ, მრავალი წელია, ისრაელის ენერგეტიკას ემსახურებით და საქართველოს ენერგეტიკაშიც კარგად ერკვევით, როგორ ფიქრობთ, რა ენერგეტიკული სტრატეგია უნდა აირჩიოს ჩვენმა ქვეყანამ?

— უპირველეს ყოვლისა, საქართველომ უნდა განაგრძოს ელექტროენერგიის წარმოება. 1990 წელს, ჩვენ გვქონდა 16 მილიარდი კვტ.სთ გამომუშავება და 2000 წლისთვის, 20 მილიარდი იყო დაგეგმილი. საქართველო ამჟამად სულ რაღაც 9-10 მილიარდს აწარმოებს, რაც ძალიან ცოტაა. ღმერთმა ქნას და, ამის იმედი გვაქვს, რომ ქვეყანაში მალე განვითარდეს მრეწველობა, რაც ეკონომიკის გააუმჯობესებს. თუმცა ამ დროს აღმოჩნდება, რომ ელექტროენერგია საკმარისი არ გვექნება. დამიჯერეთ, საქართველოს ძალიან ცოტა ელექტროენერგია აქვს, ერთ სულ მოსახლეზე ბევრად ნაკლები, ვიდრე ისრაელშია. თქვენ წარმოიდგინეთ, ისრაელში ვაწარმოებთ 60 მილიარდ კვტ.სთ-ს, 8 000 000 მოსახლეზე, საქართველოს კი დღეს, დაახლოებით, 30 მილიარდი უნდა ჰქონდეს, რადგან ქვეყნის მოსახლეობა დაახლოებით, 4 000 000-ია. რეალურად, როგორც გითხარით, ქვეყანა 9-10 მილიარდზე მეტს ვერ აწარმოებს. ამიტომ ქვეყნის ნომერპირველი სტრატეგია, მეტი ენერგიის გამომუშავება და აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი განვითარება უნდა იყოს. მეორე საკითხია, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ ენერგიის გამომუშავება. საკუთარი საწვავი საქართველოს არ აქვს, გარდა ძალიან ცუდი ხარისხის ნახშირისა, რომელიც უმჯობესია, საერთოდ, არ გამოიყენო. შესაბამისად, გვრჩება მხოლოდ ჰიდრორესურსები.

— ჩვენს ქვეყანაში დიდი ჰესების მშენებლობას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, მაგალითად, „მწვანეები“ მუდმივად აპროტესტებენ ნებისმიერი ჰიდროენერგეტიკული ობიექტის მშენებლობას. ისრაელში რა მდგომარეობაა ამ მხრივ?

— იცით, როდესაც ქართულ ტელეარხებს ვადევნებ თვალყურს, უბრალოდ, ჭკუიდან ვიშლები. ნორვეგიაში ელექტროენერგიის 90% ჰიდრორესურსია. რა თქმა უნდა, კაშხლების მშენებლობა აზიანებს ნორვეგიის ეკოლოგიას, მაგრამ ისეთ საინჟინრო სქემებს პოულობენ, რომ გარემოს დაზიანება და ჩარევა, მინიმალური იყოს. რა გახდა, ეს მუდმივი და დაუსრულებელი აჟიოტაჟი ამ ხუდონზე?! რაც თავი მახსოვს, სულ ასეა. მშვენიერი სქემა არსებობდა ჯერ კიდევ კომუნისტების დროიდან. ამ ყველაფერს რომ ვუსმენ, გაოცებული ვარ. ენერგიის რომელი სახეა სასარგებლო ბუნებისთვის? ჩვენ ყველანი რომ დავიხოცოთ ერთიანად, ბუნება ამით მხოლოდ იხეირებს, მაგრამ ხომ არ ვაპირებთ ამის გაკეთებას? საერთოდ, მიკვირს ამ მწვანეთა ორგანიზაციების აქტივობა ხუდონზე იმ დროს, როდესაც თბოსადგურებზე ხმას არ იღებენ. გარდაბანში, თბილისის მახლობლად რომ თბოელექტროსადგურის აშენებას აპირებენ, გარემოს დამცველი ორგანიზაციები ამაზე დუმან. ნახშირის ბლოკი სუფთა მავნებლობაა, ასევეა გაზის ბლოკი, რადგან გამონაბოლქვის თვალსაზრისით, ისიც პრობლემურია. მათი გაწმენდისთვის, ისრაელი ძვირადღირებულ ტექნოლოგიებს იყენებს, საკითხავია, თუ ინტერესდებიან გარემოს დამცველები, ინერგება თუ არა ეს ტექნოლოგიები საქართველოში? გამონაბოლქვი გაზები საშინელებაა თბილისისთვის, გარდაბნისთვის, რუსთავისთვის. აი, ეს შენდება, შექმნილია აჟიოტაჟი, რომ იქნებ, ვინმემ ფული ჩადოს ამ უბედურების აშენებაში და მილიონობით ადამიანი მოწამლოს. სად არიან, ამ დროს, მწვანე ორგანიზაციები, რატომ არ გვესმის მათი პროტესტი ამ საკითხზე? რას გადაეკიდნენ ამ ჰიდროენერგიას, ბუნებაში ასეთი სუფთა ენერგია არ არსებობს. მიკვირს ამ ხალხის პოზიცია, ალბათ, რაღაც ინტერესებია ან ამ საკითხის მნიშვნელობა სიღრმისეულად არ ესმით. გირჩევთ, ამ მწვანე პარტიებმა და ეკოლოგებმა დაანებონ თავი ჰიდროენერგეტიკას. კაცო, ნაგავსაყრელებზე ეგენი არ მინახავს, გამონაბოლქვისგან გარემოს დაბინძურება მაგათ არ გაუპროტესტებიათ, ეს ამბავი არც კი აწუხებთ, მარტო ხუდონისა და ნებისმიერი ჰიდროენერგეტიკული პროექტის გამო სწუხან. საკუთარი ენერგია უფრო აქტუალურ საკითხებს რომ მოახმარონ, არ აჯობებს? საქართველოს ენერგეტიკოსებმა ძალიან კარგად იციან თავისი საქმე და ამ ჰესს გარემოზე მინიმალური ზიანის მიყენებით ააშენებენ.

— საქართველოში ბევრს საუბრობენ მზისა და ქარის ენერგიის გამოყენება-ათვისებაზე, მაგრამ ეს საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. ისრაელს ამ მიმართულებითაც დიდი გამოცდილება აქვს. რა იქნება თქვენი რჩევა-რეკომენდაცია საქართველოსთვის?

— მოდი, უფრო რეალურად შევხედოთ ვითარებას და გავიგოთ, რა ჯდება მზის ან ქარის ენერგია? ჰიდროენერგია იმით განსხვავდება, რომ თქვენ შეგიძლიათ ენერგიის დიდი ნაკადი შექმნათ მაშინ, როდესაც გჭირდებათ, ქარის და მზის ენერგია კი არის მაშინ, როცა ეს ბუნებას უნდა. უმისთვის, რომ თქვენ გქონდეთ სისტემაში ჩართული ქარისა და მზის დანადგარები, უპირველეს ყოვლისა, უნდა გქონდეთ „სმარტ-გრიდი“ (მაღალტექნოლოგური ქსელები), ანუ მთელი თქვენი ელექტროსისტემა ისე უნდა იყოს აგებული, რომ შეძლოს იმ ელექტროენერგიის მიღება. ხომ წარმოგიდგენიათ, ქარმა ცოტაც რომ შეიცვალოს მიმართულება, ენერგიის გარეშე დარჩებით. ეს სისტემები ძალიან კარგია, მაგრამ დიდი რესურსი არ არის. სერიოზული რესურსი თბოენერგეტიკასა ან ჰიდროენერგეტიკაშია. თბოენერგეტიკას დიდი პრობლემები აქვს ეკოლოგიის მხრივ, უპირველეს ყოვლისა, CO_2 გამონაბოლქვი იწვევს გლობალურ დათბობას, გარდა მაგისა, სხვადასხვა გამონაბოლქვი გაზები საფრთხეა ეკოლოგიისთვის. თუ ჩვენ ბუნებრივ აირზე ვსაუბრობთ, მისი წვის გამონაბოლქვი ნაკლებ პრობლემას ქმნის, ვიდრე ნახშირის, მაგრამ მასაც აქვს პრობლემები და თანაც საქართველოს გაზი არ აქვს. ჩემი მეგობარი, რომელიც ექსპერტია ქარის ენერგეტიკის დარგში, ნამყოფია საქართველოში და ვკითხე, რა პერსპექტივა აქვს ამის აშენებას საქართველოში, ვკითხე, რამდენად იყვნენ მზად, რომ ხელი მოეწერათ ხელშეკრულებაზე. მიპასუხა, თუ 20 წლით მოგვიწერენ ხელს და 11 ცენტად იყიდიან კოლოვატსაათს, 80 მეგავატი სიმძლავრის ქარის ენერგიის სადგურს ავაშენებთო. ძალიან კარგია, ეს უნდა გაკეთდეს, მაგრამ ძვირია, საქართველოს გაუჭირდება ამ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა და მეორეც, 80 მეგავატი არ წყვეტს ენერგიის დეფიციტის პრობლემას. გარდა ამისა, ეს 80 მეგავატი გექნება მაშინ, როდესაც ქარი დაუბერავს და არა მაშინ, როდესაც ენერგია დაგვჭირდება.

— საქართველოს ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის მხოლოდ 18%-ია ათვისებული. თეორიულად დავუშვათ, რომ ისრაელს აქვს ასეთი რესურსი, მოახდენდით მის ინტენსიურ ათვისებას?

— რას ბრძანებთ, ისრაელს დასალევად არ აქვს წყალი და მიუხედავად ამისა, პატარ-პატარა, 30-40 კილოვატსაათიან სადგურებს აშენებს ყველგან, სადაც კი გამდინარე წყალს ნახავენ. სერიოზულად ვიხილავდით ჰიდრომააკუმულირებელი სადგურის პროექტს, რაც იმას ნიშნავს, რომ ღამე, როდესაც ნაკლები მოხმარებაა, ატუმბო მთაზე წყალი და დღისით გამოუშვა, მაგრამ ეს პროექტი ეკონომიკურად საეჭვო და უძვირესი იყო, ამიტომ აღარ გავაკეთეთ. საქართველოში კი ბუნებრივად არის წყლის რესურსი, შეხედეთ ნორვეგიას, განვითარებული ქვეყანაა, ბუნებრივი გაზის უდიდესი მარაგები აქვს და ყიდის მას, ხოლო მათი ენერგიის 90%, მაინც ჰიდროა. იქაც თაღოვანი კაშხლებია, როგორსაც ჩვენ ვაპირებდით ხუდონზე და არაფერი ხდება. იქაც შეიძლება დაზიანდეს ბუნება, თუმცა ზიანის მასშტაბები შემცირებულია. საქართველოშიც შეიძლება მსგავსი პროექტი კარგად გაკეთდეს, მით უმეტეს, ჩვენ ჰიდროენერგეტიკის ერთ-ერთი საუკეთესო და უძველესი, დიდი ტრადიციების მქონე სკოლა გვაქვს, გნებავთ, დაპროექტების, გნებავთ — კვლევით სფეროში, მშენებლებიც ბევრნი არიან. საქართველოში საკმაოდ კარგი სპეციალისტები არიან საიმისოდ, რომ ამ პროექტის ოპტიმიზაცია გააკეთონ და დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება. სულ რომ არაფერი დაზიანდეს, ასეთი ენერგიის წყარო ბუნებაში არ არსებობს. სულ ცოტა ხნის წინ იყო დისკუსია, სადაც გამოითქვა მოსაზრება, რომ ყველაზე კარგი ენერგიაა ის, რასაც ინგლისელები აშენებენ, ანუ როდესაც ზღვაში, ნაპირიდან მოშორებით დგამენ ქარის უზარმაზარ ტურბინებს. მარტო ამის აშენებით და ზღვის ფსკერზე კაბელების ჩადებით, რამდენი ცხოველი და ორგანიზმი დაღუპეს და, საერთოდ, შეცვალეს იქაური ეკოლოგია? რას იზამ, ადამიანი ტოვებს თავის კვალს ყველგან, მაგრამ ზიანი მინიმალური უნდა იყოს.

— ისრაელიც მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ენერგოშემცველების ნახშირისა და გაზის იმპორტზე, ცდილობს თუ არა თქვენი ქვეყანა, იმპორტირებული ენერგორესურსების ჩანაცვლებას საკუთარი რესურსებით?

— ისრაელში სხვა გამოსავალი არ არის და ენერგიას ნახშირზე გამოვიმუშავებთ, მაგრამ ამისთვის საუკეთესო ნახშირი შემოგვაქვს. გვაქვს გამწმენდი რესურსებიც, მაგრამ მაინც ვცდილობთ, რაც შეიძლება, ნაკლებად გამოვიყენოთ ნახშირი. ისრაელში ნელ-ნელა ინერგება მზის ენერგიიდან დენის მიღების ფოტოვოლტაიკები, მაგრამ ესეც საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა და არ შეგვიძლია, მისი ფართოდ გამოიყენება. დაუკვირდით, ისრაელი ბევრად უფრო მდიდარია, ვიდრე საქართველო. ზოგადად, ენერგიის მიღების ტექნოლოგიები ძალიან ბევრია. მაგრამ მათი დანერგვა საკმაოდ ძვირი ჯდება.

For.ge, მარიამ ჯაში

ვერსიანიუსი

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკის რეალიზებისა და შეძენა-შენახვის ბრალდებით ორი პირი დააკავა

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს დეტექტივების განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1986 წელს დაბადებული, ირანის მოქალაქე ომიდვარ კ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციისთვის, ხოლო 1993 წელს დაბადებული, საქართველოს მოქალაქე გვანცა გ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს. სამართალდამცავებმა გვანცა გ. იმ დროს დააკავეს, როცა მან ომიდვარ კ-სგან ნარკოტიკული საშუალება 500 აშშ დოლარის სანაცვლოდ შეიძინა. ექსპერტიზის დასკვნით, გვანცა გ-ს ჩხრეკისას ამოღებულია 4,1594 გრ ნარკოტიკი, რომელიც 3,3401 გრ მეტამფეტამინს შეიცავს. ომიდვარ კ-ს დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას სამართალდამცველებმა 39,2585 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 36,6696 გრ მეტამფეტამინს შეიცავს. ორივე დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

ყაჩაღობის მომზადების ბრალდებით სამი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1974 წელს დაბადებული, წარსულში ქურდობისთვის ნასამართლევი რამაზ დ, 1984 წელს დაბადებული ლაშა ნ. და 1969 წელს დაბადებული ლუკა ჭ. ჯგუფური ყაჩაღობის მომზადების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში მდებარე სამშენებლო კომპანიის დაყაჩაღების გეგმა შეიმუშავეს. ერთ-ერთმა დაკავებულმა, ლუკა ჭ-მ, რომელიც ჩინური სამშენებლო კომპანიის მძღოლად მუშაობდა, თანამზრახველებს მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კომპანიის სეიფში დაახლოებით 100 000 ლარის ოდენობის თანხა ინახებოდა და დეტალურად აუხსნა, როგორ შეიძლებოდა კომპანიის ოფისში შეღწევა. კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა რამაზ დ. და ლაშა ნ. იმ დროს დააკავეს, როცა ისინი გეგმის განსახორციელებლად ავტომობილით გადაადგილდებოდნენ. მათი თანამზრახველი ლუკა ჭ. კი მეტროსადგურ ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. სამართალდამცველებმა დაკავებულების პირადი და ავტომობილის ჩხრეკის შედეგად „გლოკისა“ და „ბერეტას“ სისტემის პისტოლეტების მაკეტები, 4 ნიღაბი, 8 ცალი სამედიცინო ხელთათმანი, 2 ხანჯალი და წებოვანი ლენტი ამოიღეს. დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ.

გამოძიება ჯგუფური ყაჩაღობის, სადგომში ან საცავში უკანონო შეღწევის მომზადების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 18-179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით).

„ვერისნიუსი“

სუდოკუ

ადვილი

				5		8	4	6
						3		7
3			9			5		
	9	8				4		
7				2				5
		2				1	7	
		7			1			3
8		3						
5	2	1		7				

სტანდარტი

					1		8	7
	8					3		
					5			9
4	7				2			
	3	9	7		6	4	1	
			9				3	6
8			5					
		7					9	
1	4		2					

რთული

	3		4	5		8		
	8	5		3				9
2		4	6	9		7	3	
	7						9	
	5	3		1	7	6		4
7				2		1	4	
		9		8	4		6	

ექსპერტი

4	8			5				
	7			2			3	5
			8					1
				4	2		5	
	4	3				2	8	
	1		5	3				
1					7			
7	3			8			4	
				6			1	8

დიაგნოზის დასმაში „ექიმი ჰაუსი“ დაეხმარა

მარბურგის გერმანული სამედიცინო ცენტრის პაციენტისთვის სწორი დიაგნოზის დასმა ექიმებმა იმის წყალობით მოახერხეს, რომ ერთ-ერთი მათგანი სერიალ „ექიმი ჰაუსის“ თაყვანისმცემელი აღმოჩნდა. 55 წლის პაციენტს, რომელსაც მენჯ-ბარძაყის სახსრის პროთეზი ჰქონდა, გულის უკმარისობა, ციება ტანჯავდა და მხედველობისა თუ სმენის დაქვეითებაც აღენიშნებოდა. მიუხედავად მედიკოსების ძალისხმევისა, მამაკაცის სენის მიზეზის დადგენა მანამ ვერ მოახერხეს, სანამ ერთ-ერთმა ექიმმა არ გაიხსენა, რომ სერიალში ექიმი ჰაუსი მსგავსი სიმპტომების მქონე ავადმყოფს მკურნალობდა. კინოში დაავადების მიზეზი კობალტით მოწამვლა იყო, რომელსაც პროთეზი შეიცავდა. დამატებითი გამოკვლევების შემდეგ, გერმანელმა მედიკოსებმა გაარკვიეს, რომ მათ პაციენტსაც იგივე პრობლემა ჰქონდა და მეტალის პროთეზი მაშინვე კერამიკულით შეცვალეს, შედეგად კი პაციენტი გამოჯანმრთელდა.

სახლი ცელოფანში გაახვია

თურქმა მამაკაცმა საკუთარი ხუთსართულიანი სახლის სამი სართული ცელოფანში გაახვია, ძლიერი ყინვისგან თავი რომ დაეცვა. ხუთი შვილის მამა, 45 წლის ჰუსეინ არმე ამ სახლში ოჯახსა და ნათესავებთან ერთად ცხოვრობს. შინაურების ყინვისგან დაცვის უჩვეულო მეთოდი კი ინტერნეტში მოიძია, თუმცა დიდი ზომის ცელოფანი (სიგანე 12 მ, სიგრძე — 40 მ) მხოლოდ სახლის სამ სართულს ეყო. ახლა ჩვენს სახლში საკმაოდ თბილა, — ამბობს გამჭრიახი თურქი, რომელმაც, ცელოფანი, ქარმა რომ არ წაიღოს, რკინის ბოძებით დაამაგრა და როგორც ამბობს, ახლა ოჯახი 30%-ით ნაკლებ გადასახადს იხდის. თურქეთის აღმოსავლეთში ზამთარი საკმაოდ მკაცრია, აქ ყინვა ზოგჯერ 20 გრადუსსაც აღწევს.

იაპონელები ჩავ ჰოთ-დოგებს მიირთმევენ



ამომავალი მზის ქვეყანა ცნობილია პროდუქტის არჩევაში თავის უცნაურობით, ახლა კი მათ სიას კიდევ ერთი კურიოზული საჭმელი მიემატა — ეს მიწასავით შავი ჰოთ-დოგია და ფასტ-ფუდის პროდუქტს შორის ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს, მიუხედავად იმისა, რომ დამწვარს ჰგავს. ეს 30-სანტიმეტრიანი „საოცრება“ ტოკიოს სწრაფი კვების ქსელის — Vegas Premium Hot-Dogs ერთ-ერთ დაწესებულებაში იყიდება. იდეა ახალი არ არის, რადგან მსგავსი ჰამბურგერები წელს Burger King-ის ქსელში გამოჩნდა — შავი ფუნთუშა და მუქი ფერის კეტჩუპი, თუმცა, ხორცი და ბოსტნეული მასში ჩვეულებრივი ფერისაა. იაპონელებმა გადაწყვიტეს, კონკურენტისთვის „გადაეჯოკრათ“ და აბსოლუტურად შავი ჰოთ-დოგი შექმნეს, მასში ყველა ინგრედიენტი აბსოლუტურად შავი ფერისაა. პროდუქტმა მალე მოიპოვა პოპულარობა და ახლა კლიენტების რიგი უდგათ. როგორც აღმოჩნდა, პროდუქტისთვის შავი ფერის მისაცემად კომპანია ბამბუკის ნახშირს იყენებს, რომელსაც არანაირი გემო არ აქვს და არც პროდუქტს აფუჭებს. შავი ჰოთ-დოგი საკმაოდ ძვირი, 6 დოლარი ღირს.

მარიხუანას ლეგალიზებისთვის ნობელის პრემიაზე წარადგინეს

ურუგვაის პრეზიდენტი ხოსე მუხიკა ნობელის პრემიაზე წარადგინეს ქვეყანაში მარიხუანას ლეგალიზაციისთვის. მისი კანდიდატურა ნობელის კომიტეტს პარტიამ Frente Amplio, ფერმერთა გაერთიანებამ PlantaTuPlanta და ჰოლანდიურმა ინსტიტუტმა „მსოფლიო ნარკოტიკებით“ შესთავაზა. ისინი ურუგვაელი ლიდერის დაჯილდოებას მარიხუანას მოყვანისა და გაყიდვის ლეგალიზაციისთვის ითხოვენ. მუხიკა და მისი მომხრეები ვარაუდობენ, რომ ეს გადაწყვეტილება ნარკომოვაჭრეებს შემოსავალს შეუმცირებს და ნარკოდანაშაულთან ბრძოლაში დაეხმარება. ჰოლანდიის ინსტიტუტმა მუხიკასთვის მშვიდობის პრემიის მისანიჭებლად ნობელის კომიტეტს გასულ თვეს მიმართა. აღსანიშნავია, რომ მუხიკა ერთხელ უკვე იყო წარდგენილი ამ ჯილდოზე. მაშინ მას მხარი სსრკ-ს ექსპრეზიდენტმა მიხაილ გორბაჩოვმაც დაუჭირა. ურუგვაიში მარიხუანას ლეგალიზაციას პარლამენტმა გასული წლის აგვისტოში დაუჭირა მხარი.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

9	2	1	5	8	6	7	4	3
4	5	3	7	2	1	9	8	6
8	7	6	4	3	9	2	1	5
6	9	4	2	7	8	5	3	1
3	1	7	9	6	5	8	2	4
2	8	5	3	1	4	6	7	9
7	6	2	1	9	3	4	5	8
5	3	9	8	4	2	1	6	7
1	4	8	6	5	7	3	9	2

სტანდარტი

2	4	3	1	6	5	8	7	9
5	1	9	3	8	7	6	4	2
8	7	6	2	9	4	5	1	3
4	8	7	9	5	3	2	6	1
3	2	1	8	7	6	9	5	4
9	6	5	4	2	1	3	8	7
6	9	4	7	3	8	1	2	5
1	5	2	6	4	9	7	3	8
7	3	8	5	1	2	4	9	6

ექსპერტი

6	8	4	5	7	3	2	1	9
9	3	2	4	8	1	7	6	5
1	7	5	9	2	6	3	8	4
2	5	3	8	1	4	6	9	7
4	6	1	7	9	5	8	3	2
8	9	7	6	3	2	5	4	1
7	4	9	2	6	8	1	5	3
3	2	6	1	5	9	4	7	8
5	1	8	3	4	7	9	2	6

ექსტერტი

7	8	5	4	3	2	6	1	9
1	4	3	6	9	8	2	7	5
2	9	6	7	5	1	8	4	3
8	7	4	2	6	5	3	9	1
9	3	2	1	4	7	5	8	6
5	6	1	9	8	3	4	2	7
4	5	9	8	7	6	1	3	2
6	2	8	3	1	9	7	5	4
3	1	7	5	2	4	9	6	8

რთული

1	6	8	7	2	4	5	3	9
5	2	9	3	6	1	8	7	4
7	4	3	5	9	8	6	2	1
6	3	5	1	4	2	7	9	8
4	8	2	9	7	6	3	1	5
9	7	1	8	5	3	4	6	2
3	5	7	4	1	9	2	8	6
2	1	4	6	8	7	9	5	3
8	9	6	2	3	5	1	4	7

ექსპერტი

3	8	5	1	6	2	4	9	7
7	9	4	8	3	5	6	1	2
6	2	1	7	4	9	8	5	3
5	7	9	6	8	4	3	2	1
4	3	8	2	5	1	7	6	9
2	1	6	3	9	7	5	8	4
1	6	7	5	2	3	9	4	8
9	5	3	4	1	8	2	7	6
8	4	2	9	7	6	1	3	5

რთული

4	3	5	1	2	9	8	7	6
2	1	9	8	7	6	5	4	3
8	7	6	5	4	3	2	1	9
3	6	8	4	1	2	9	5	7
1	2	7	6	9	5	4	3	8
9	5	4	3	8	7	1	6	2
7	4	3	9	5	8	6	2	1
6	9	1	2	3	4	7	8	5
5	8	2	7	6	1	3	9	4

ექსპერტი

8	3	7	9	6	5	4	2	1
5	6	1	2	8	4	3	9	7
4	2	9	7	3	1	8	6	5
7	1	6	4	2	9	5	3	8
2	8	5	3	1	7	9	4	6
3	9	4	8	5	6	1	7	2
1	7	3	6	4	8	2	5	9
6	5	2	1	9	3	7	8	4
9	4	8	5	7	2	6	1	3

მე-16 გვერდი: 1. მიუნჰაუზენი;; 2. რეჩიტატივი; 3. აჩმა; 4. ოტური; 5. ატა; 6. ევრო; 7. ეპიკურეიზმი; 8. უზურპაცია; 9. ეპიგრაფი; 10. ეიფელი; 11. ტრამვაი; 12. იაგდტაში; 13. ეილერი; 14. ნაია; 15. ურიკა; 16. თეატრი; 17. ლოიოლა; 18. რიალი; 19. ნოე; 20. პარაფი; 21. აფრა; 22. გოლფი; 23. ეთერი; 24. მედიე; 25. იდიოტია; 26. არგანი; 27. ამაო; 28. ცოფი; 29. ვალეტი; 30. დილა; 31. უფროსი; 32. რენუარი; 33. სიდნეი; 34. ეთიკა; 35. ტორი; 36. დანტე; 37. ზოია; 38. ერინ; 39. ნუტი; 40. დონ; 41. ზიარება; 42. ნიგოზი; 43. რეტი; 44. რეა; 45. რიქმა; 46. ეფა; 47. ინა; 48. ოპალი; 49. მზე; 50. ფინტი; 51. ტუი; 52. ინია; 53. იანკი; 54. პინო; 55. ზმა; 56. მარკა; 57. მაია; 58. აბი; 59. არზა; 60. ბუ; 61. ალჩუ.

მძარცველი კოცნით იპოვეს

საფრანგეთის პოლიციამ, დნმ-ის ანალიზით, საიუველირო მაღაზიის მძარცველი იპოვა, რომელმაც გაქცევამდე მძევალს ლოყაზე აკოცა. როგორც ერთ-ერთი ფრანგული გამოცემა წერს, შარშან ბოროტმოქმედებმა საიუველირო ბუტიკის თანამშრომელი მძევლად აიყვანეს, სახლში წაიყვანეს, დააბეს და წყალი გადაასხეს, თან უთხრეს, რომ ეს ბენზინი იყო და დაწვით დაემუქრნენ, თუკი მათ მოთხოვნებს არ შეასრულებდა. ყაჩაღებს სიგნალიზაციისა და სეიფების კოდები უნდოდათ, სადაც ძვირფასეულობა ინახებოდა. მერე ერთ-ერთი მათგანი ბუტიკში „საქმეზე“ წავიდა, მეორე კი მძევალს დარაჯობდა. წარმატებული რეიდისა და გოგონას მოთმინებისთვის, რომელმაც ამ მდგომარეობაში ოთხი საათი გაატარა, ლოყაზე მძარცველის კოცნაც დაიმსახურა. მძევალი კი გათავისუფლებისთანავე პოლიციაში წავიდა, სადაც დეტექტივებმა მისი ლოყიდან დნმ-ის ანალიზი აიღეს. შედეგად, დამნაშავეთა ბაზაში ადვილად გაშიფრეს მძარცველი და დააკავეს.

მე ორგანიზმი გავიწმინდე და წონაში კლება საოცარი ტემპით დავიწყე!

ლიზა მარი საავტომობილო სერვისის ოფისში მუშაობს. როდესაც მისმა წონამ 94 კილოგრამს მიაღწია, მიხვდა, რომ ცხოვრების წესი უნდა შეეცვალა.

„მე ყოველთვის მიყვარდა გამაგრილებელი სასმელები და ტკბილეული, რომლებიც, თითქოს ენერგიას უნდა მატებდნენ, მაგრამ მე მუდამ დაღლილი და ძალაგამოცლილი ვიყავი. ჩემმა წონამ კი 94 კილოგრამს მიაღწია. გაზეთში წავიკითხე სტატია ორგანიზმის გაწმენდის და დეტოქსიკაციის ეფექტის შესახებ, და რომ მას შეუძლია დაკარგული ენერგიის აღდგენა და წონის დაკლებაში დახმარება. მე ეს სავსებით ლოგიკურ გზად მეჩვენა. ადრე გახდომის უამრავი საშუალება მქონდა ნაცადი, მაგრამ უშედეგოდ“.

შევიძინე ბიოდრაინის ტაბლეტები

„აფთიაქში, ბიოდრაინის შეძენისას, რამდენიმე კარგი რჩევაც მომცეს: მივიღო დიდი რაოდენობით წყალი და რაც შეიძლება ცოტა ტკბილეული. მალე ენერგიის ისეთი მოზღვავება ვიგრძენი, თითქოს სპორტული დარბაზში დავდიოდი. საღამოობით კი, ვცდილობდი ფეხით მესეირნა. თუკი ადრე ამის გაკეთება ყოველთვის მეზარებოდა, ახლა ეს დიდ სიამოვნებას მანიჭებდა. სასწორზე ყოველი დადგომა კიდევ უფრო მიმყარებდა აზრს, რომ ბიოდრაინის მიღება უნდა გამეგრძელებინა.“

შევიცვალე ცხოვრების წესი

10 კვირაში ლიზა მარიმ 25 კილოგრამი დაიკლო! ის, რომ წონის ასეთი შემცირება ორგანიზმის გაწმენდის პროგრამის - „დეტოქს-გეგმის“ /ბიოდრაინის დამსახურებაა, ლიზა მარის ეჭვიც არ ეპარება: „თითქმის მაშინვე ვიგრძენი ჩემს ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებები. თავიდანვე შევამჩნიე ენერგიის მოზღვავება. ორი კვირის შემდეგ კი წონამ თითქოს დნობა დაიწყო. რაღაც პერიოდში დღეში თითქმის ერთ კილოს ვიკლებდი! სრულიად გაქრა ტკბილეულისადმი მისწრაფება.

ოჯახის წევრები, განსაკუთრებით დედა შეშფოთდა და კუჭ-ნაწლავის შესაძლო პრობლემებზე ალაპარაკდა. მაგრამ მე ის დავამშვიდე და ავუხსენი, რომ უბრალოდ, ცხოვრების წესი შევცვალე – ვიცავ დიეტას და ორგანიზმის გაწმენდის რეჟიმს, რომელიც ხელს უწყობს გახდომის პროცესს“.

ახლა ჩემი წონის კონტროლი შემიძლია

„ახლა თავს გაცილებით მსუბუქად და მოხდენილად ვგრძნობ და ძალიან ბედნიერი ვარ იმით, რომ 38/40 ზომის ტანსაცმელს ვყიდულობ. იმ დროის გახსენებაც კი არ მინდა, როდესაც 46/48 ზომის ტანსაცმელს ვატარებდი. ისეთი სასიამოვნო განცდაა ძველი ტანსაცმლის და ზედმეტი კილოგრამების ერთდროულად მოშორება! ახლა, წელიწადში ორჯერ ბიოდრაინის დეტოქს-გეგმის დახმარებით, ვაკონტროლებ საკუთარ წონას.“

რატომ არის ბიოდრაინის ტაბლეტები ასეთი განსაკუთრებული?

ბიოდრაინის ტაბლეტები მზადდება სამკურნალო მცენარეებისაგან, სკანდინავიელი ფიტოთერაპევტების უნიკალური რეცეპტით.

შვედეთსა და დანიაში კვებითი დანამატი ბიოდრაინი გამოიყენება ორგანიზმის გაწმენდის, დეტოქსიკაციისა ან ჭარბი კილოგრამების მოშორებისთვის.

ბიოდრაინის ტაბლეტების შემადგენლობაში შედის მხოლოდ კარგად ცნობილი და გამოკვლეული სამკურნალო მცენარეების ექსტრაქტები. კომპლექსურად მოქმედებისას ისინი ეფექტურად გვეხმარება შლაკების გამოდევნაში, ორგანიზმის გაწმენდაში, ჭარბი წონის მოცილებასა და კანის მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

სად შეიძლება შევიძინო ბიოდრაინი?

ბიოდრაინის შეძენა შესაძლებელია აფთიაქებში.

კითხვები გაქვთ?

იხილეთ ინტერნეტ-საიტი: www.newnordic.lv ან დარეკეთ ტელეფონზე: ☎ 570 102 392 ქალაქის ნომრიდან ზარი უფასოა

NEW NORDIC
შეფუთვაზე მოძებნეთ ვერცხლისფერი საფირმო ნიშანი. ეს იმის გარანტიაა, რომ პრეპარატი შეესაბამება ხარისხისა და უსაფრთხოების მაღალ სტანდარტებს, რომელსაც კომპანია „ნიუ ნორდიკი“ გთავაზობთ.
„ნიუ ნორდიკი“ ზრუნავს ადამიანებსა და ბუნებაზე.



ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.